ირლანდიის ნატურალიზაციის და იმიგრაციის სერვისი

საერთაშორისო დაცვის ოფისი

საინფორმაციო ბუკლეტი საერთაშორისო დაცვის აპლიკანტებისთვის

გთხოვთ, წაიკითხეთ ამ ბუკლეტში მოცემული ყველა ინფორმაცია, სანამ დაიწყებთ თქვენი საერთაშორისო დაცვის კითხვარის შევსებას

ბუკლეტის დანიშნულება

ეს საინფორმაციო ბუკლეტი დაგეხმარებათ ირლანდიაში საერთაშორისო დაცვის განაცხადების დამუშავების პროცედურების გაგებაში. ის აგრეთვე განგიმარტავთ თქვენს უფლებებს და ვალდებულებებს და თუ ვისთან მოგიწევთ ურთიერთობა განაცხადის გაკეთების, შემოწმების და რეკომენდაციის/გადაწყვეტილების მიღების პროცესის დროს. ეს ბუკლეტი აგრეთვე მოგაწვდით ინფორმაციას სხვა საფუძველზე დარჩენის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით.

მნიშვნელოვანი შენიშვნები

თქვენ უნდა შეინახოთ ეს საინფორმაციო ბუკლეტი იმისთვის, რომ შეძლოთ მისი გამოყენება სანამ თქვენი განაცხადის დამუშავება მიმდინარეობს.

საერთაშორისო დაცვის განაცხადის გაკეთებისას, თქვენ იწყებთ სამართლებლივ პროცედურას. დოკუმენტები, რომლებიც უნდა შეავსოთ და ინფორმაცია, რომელიც უნდა მოგვაწოდოთ განაცხადის, შემოწმების და რეკომენდაციის/გადაწყვეტილების მიღების პროცესის ნაწილის სახით მეტად მნიშვნელოვანია ამ პროცესის შემთხვევაში.ამიტომ, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სრულად წაიკითხოთ აქ მოცემული ინფორმაცია და მიიღოთ საჭირო იურიდიული რჩევა, რომ შეძლოთ თქვენი განაცხადის მხარდაჭერა. თქვენ უნდა ითანამშრომლოთ საერთაშორისო დაცვის ოფისთან (IPO). თუ ასე არ მოიქცევით, ამას შესაძლოა არასასურველი სამართლებლივი გავლენა იქონიოს თქვენი განაცხადისშედეგზე.

კანონი, რომელიც არეგულირებს საერთაშორისო დაცვის განაცხადების შემოწმებას და მათთან მიმართებით გადაწყვეტილების მიღებას, ასევე დარჩენის უფლებას და ოჯახის გაერთიანებას ირლანდიაში მოცემულია საერთაშორისო დაცვის აქტში, 2015 (აქტი 2015) და ამ აქტის შესაბამისად გაკეთებულ ბრძანებებსა და რეგულაციებში. თქვენ ეს კანონმდებლობა შეგიძლიათ სრულად იხილოთ შემდეგ ვებგვერდებზე:www.inis.gov.ieდაwww.ipo.gov.ie.

ეს ბუკლეტი შექმნილია მხოლოდ საინფორმაციო და სახელმძღვანელო მიზნით. ეს ბუკლეტი არ წარმოადგენს იურიდიულ რჩევას და არ იძლევა საერთაშორისო დაცვის აქტის, 2015, სამართლებლივ ინტერპრეტაციას. თუ გჭირდებათ დამატებითი ინფორმაცია 2015 აქტის შესახებ და თქვენს შემთხვევაზე მისი ზემოქმედების შესახებ, თქვენ უნდა მიიღოთ იურიდიული რჩევა.

რადგან მიღებულია ყველა ძალისხმევა იმისთვის, რომ ამ ბუკლეტში მოცემული ინფორმაცია იყოს სწორი, პასუხისმგებლობის აღება ამ დოკუმენტში არსებულ ნებისმიერ შეცდომასა თუ გამოტოვებულ მონაცემებზე არ მოხდება. უფრო მეტიც, არაფერი, რაც ამ დოკუმენტშია მოცემული არ წარმოადგენს განცხადებას ან პირობას, რომელიც წარმოშობს სავალდებულო სამართლებლივ ვალდებულებას იუსტიციისა და თანასწორობის სამინისტროს („სამინისტრო“) ან ნებისმიერი სხვა მხარის მხრიდან, მათ შორის საერთაშორისო დაცვის სამსახურის ხელმძღვანელობის და პერსონალის ჩათვლით, გარდა იმ ვალდებულებებისა, რომელიც კანონის საფუძველზეა შექმნილი.

საერთაშორისო დაცვის სამსახური
ირლანდიის ნატურალიზაციის და იმიგრაციის სამსახური
იანვარი, 2017 წელი

შინაარსი

ნაწილი 1 რა არის საერთაშორისო დაცვა და როგორ უნდა გავაკეთო განაცხადი მასზე?

1.1 რა არის საერთაშორისო დაცვა?
1.2 ვის შეუძლია გააკეთოს განაცხადისაერთაშორისო დაცვაზე?
1.3 არის თუ არა საერთაშორისო დაცვაზე განაცხადის გაკეთება სწორი ქმედება ჩემს კონკრეტულ შემთხვევაში?
1.4 სად შემიძლია გავაკეთო განაცხადი საერთაშორისო დაცვაზე?
1.5 ვინ დაამუშავებს ჩემს განაცხადს საერთაშორისო დაცვაზე?
1.6 რა არის დარჩენის ნებართვა და როგორ შემიძლია გავაკეთო მასზე განაცხადი?
1.7 რა არის ოჯახის გაერთიანება?

ნაწილი2 სასარგებლო ტერმინები

2.1 რა არის საერთაშორისო დაცვის ოფისი (IPO)?
2.2 რა არის საერთაშორისო დაცვის სააპელაციო ტრიბუნალი (IPAT)?
2.3 ვინ არის მინისტრი?
2.4 ვინ ითვლება ლტოლვილად?
2.5 ვინაა უფლებამოსილი მიიღოს დამატებითი დაცვა?
2.6 რა არის სერიოზული ზიანი?
2.7 რა არის იძულებით დაბრუნების აკრძალვა?
2.8 ვინ არ ექვემდებარებასაერთაშორისო დაცვას?
2.9 რა არის EURODAC?
2.10 რა შედის საერთო საიმიგრაციო სივრცის ზონაში?

ნაწილი 3 საერთაშორისო დაცვის პროცესი

3.1 რას შეიძლება ველოდო, როცა გავაკეთებ განაცხადს საერთაშორისო დაცვაზე?
3.2 რა არის განაცხადის გაკეთების პროცესის საწყისი ნაბიჯები?
3.3 როგორ იქნება განსაზღვრულიჩემი განაცხადის დაშვების დონე?
3.4 თუ უკვე მიღებული მაქვს გადაწყვეტილება საერთაშორისო დაცვაზე წინა განაცხადთან დაკავშირებით, შემიძლია თუ არა გავაკეთო ახალი განაცხადი (შემდგომი განაცხადი)?
3.5 რა არის წინასწარი გასაუბრება?
3.6 აიღებენ თუ არა ჩემი თითების ანაბეჭდებს და სხვა ბიომეტრულ ინფორმაციას?
3.7 მივიღებ თუ არა წერილობით ინფორმაციას საერთაშორისო დაცვის პროცესთან დაკავშირებით?
3.8 რა უნდა მქონდეს თან, როცა გავაკეთებ განაცხადს საერთაშორისო დაცვაზე?
3.9 რა არის დროებითი საცხოვრებლის ცნობა (TRC) და როდის მივიღებ მას?
3.10 რა ხდება იმ შემთხვევაში, თუ ვარ შეზღუდული შესაძლებლობების ან განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირი?
3.11 შემიძლია თუ არა გავაკეთო განაცხადი საერთაშორისო დაცვაზე ციხეში ან დაკავებაში ყოფნისას?
3.12 რა გარემოებებში შეიძლება საერთაშორისო დაცვის ქვეშ მყოფი პირი დაკავდეს?
3.13 რა ხდება იმ შემთხვევაში, თუ 18 წელზე ნაკლები ასაკის ჩემს კმაყოფაზე მყოფი პირები მყავს?
3.14 სად შემიძლია მივიღო იურიდიული რჩევა?
3.15 შემიძლია თუ არა უკან გავიტანო ჩემი განაცხადისაერთაშორისო დაცვასთან დაკავშირებით?

ნაწილი 4 გასაუბრება და შემოწმება

4.1 რას უნდა მოველოდე ჩემს საერთაშორისო დაცვის გასაუბრებაზე?
4.2 შემიძლია თუ არა ვინმეს წამოვყვანა ჩემს საერთაშორისო დაცვის გასაუბრებაზე დახმარების მიზნით?
4.3 რა ხდება იმ შემთხვევაში, თუ არ შემიძლია ან ვერ ვახერხებ ჩემს გასაუბრებაზე დასწრებას?
4.4 მაკისრია თუ არა განაცხადის პროცესთან თანამშრომლობის ვალდებულება და რა შედეგი მოყვება, თუ ვერ მოვახერხებ ამას?
4.5 რა არის შემოწმების მთავარი პროცესი, პირადი გასაუბრების ჩათვლით?
4.6 რა ხდება ჩემი ინტერვიუს შემდეგ?
4.7 რა არის საერთაშორისო დაცვის ჩემი განაცხადისშესაძლო შედეგები?
4.8 რა მოხდება, თუ ვერ მივიღებ რეკომენდაციას საერთაშორისო დაცვაზე ჩემს განაცხადთან დაკავშირებით 6 თვის განმავლობაში?

ნაწილი 5 გასაჩივრება და საერთაშორისო დაცვა

5.1 შემიძლია თუ არა გავასაჩივრო რეკომენდაცია ჩემთვის საერთაშორისო დაცვის არ მინიჭების შესახებ და სხვა რეკომენდაციები?
5.2 როგორ უნდა გავასაჩივრო?
5.3 რა არის გასაჩივრების ვადები?
5.4 მაქვს იურიდიული წარმომადგენლობის უფლება ჩემს გასაჩივრებასთან მიმართებით?
5.5 რამდენად მალე მოხდება ჩემი გასაჩივრების მოსმენა?
5.6 სად შემიძლია ვიპოვო დამატებითი ინფორმაცია გასაჩივრების შესახებ?

ნაწილი 6 ლტოლვილის ან დამატებითი დაცვის სტატუსის გამოცხადება

6.1 რა ხდება მას შემდეგ ,რაც რეკომენდაცია მივიღებ?

ნაწილი 7 თქვენი უფლებები საერთაშორისო დაცვის მინიჭების შემთხვევაში

7.1 რა უფლებები მექნება საერთაშორისო დაცვის მიღების შემთხვევაში?

ნაწილი8 თქვენი უფლებები და ვალდებულებები საერთაშორისო დაცვის პროცესში

8.1 რა არის ჩემი უფლებები საერთაშორისო დაცვის განაცხადის პროცესში?
8.2 რა არის ჩემი ვალდებულებები საერთაშორისო დაცვის განაცხადის პროცესში?

ნაწილი9 ბავშვები თანმხლების გარეშე

9.1 რა ხდება იმ შემთხვევაში, თუ განაცხადს გავაკეთებ საერთაშორისო დაცვაზე, როგორც ბავშვი თანმხლების გარეშე?
9.2 რა პროცედურებია იმ შემთხვევაში, თუ TUSLA -ბავშვისა და ოჯახის სააგენტო ჩემთვის გააკეთებს განაცხადს საერთაშორისო დაცვაზე?
9.3 რა პროცედურებია 18 წლამდე ასაკის ბავშვის იურიდიული დახმარების საბჭოსთვის (LAB) გადასაცემად?

ნაწილი10 ევროკავშირის დუბლინის რეგულაცია

10.1 რა არის ევროკავშირის დუბლინის რეგულაცია?

ნაწილი 11 საკუთარი სურვილით დაბრუნების ალტერნატივები

11.1 მაქვს თუ არა შესაძლებლობა საკუთარი ნებით დავბრუნდე ჩემი წარმომავლობის ქვეყანაში/ყოფილ მუდმივი საცხოვრებლის ქვეყანაში?

ნაწილი 12 სხვა ინფორმაცია

12.1 რა პროცედურები არსებობს საერთაშორისო დაცვის განაცხადების პრიორიტეტიზაციისთვის?

12.2 რა ბედი ეწევა ინფორმაციას, რომელსაც მე მივაწვდი საერთაშორისო დაცვის ოფისს?

ნაწილი 13 დარჩენის ნებართვა

13.1 როგორ უნდა გავაკეთო განაცხადი დარჩენის ნებართვაზე?
13.2 რა ინფორმაცია არის საჭირო იმისთვის, რომ მინისტრმა მოგცეთ ან არ მოგცეთ სახელმწიფოში (ირლანდიაში) დარჩენის ნებართვა?
13.3 რა ხდება იმ შემთხვევაში, თუ უარს მეტყვიან დარჩენის ნებართვაზე?
13.4 რა ხდება იმ შემთხვევაში, თუ მომცემენ დარჩენის ნებართვას?
13.5 რა სახით მოქმედებს დარჩენის ნებართვაზე უარის „მიმოხილვა“?
13.6 რა ხდება იმ შემთხვევაში, როცა მომცემენ დარჩენის ნებართვას, მაგრამ მე გადავწვეტ გავასაჩივრო საერთაშორისო დაცვის ოფისის რეკომენდაციაIPAT-ში?
13.7 რა ხდება იმ შემთხვევაში, თუ მე უარს მეტყვიან დარჩენის ნებადრთვაზე განხილვის პროცესის შემდეგ?

ნაწილი 14 ოჯახის გაერთიანება

14.1 რა არის ოჯახის გაერთიანება?
14.2 არსებობს თუ არა დროში შეზღუდვა?
14.3 ვინ არის ოჯახის წევრი?
14.4 რა ინფორმაცია უნდა მივუთითო საერთაშორისო დაცვის განაცხადის ფორმასა და კითხვარში?
14.5 როგორ შემიძლია გავაკეთო განაცხადი ოჯახის გაერთიანებაზე?

ნაწილი15 თქვენი საცხოვრებელი

15.1 ინფორმაცია მიღების/საცხოვრებლის შესახებ

დანართი -საკონტაქტო მონაცემები

ნაწილი 1
რა არის საერთაშორისო დაცვა და როგორ გავაკეთოთ მასზე განაცხადი?

1.1 რა არის საერთაშორისო დაცვა?

1.1.1 არსებობს საერთაშორისო დაცვის ორი ფორმა, გავალისწინებულისაერთაშორისო დაცვის აქტშის მიერ , 2015, კერძოდ ლტოლვილის სტატუსი და დამატებითი დაცვა.

ლტოლვილის სტატუსი

1.1.2 ლტოლვილად აღიარებისთვის, უნდა იყოთ პირი, რომელსაც დევნის საფუძვლიანი შიშისთვის შემდეგი მიზეზები გააჩნია:

(i) რასა,
(ii) რელიგია,
(iii) ეროვნება,
(iv) პოლიტიკური შეხედულება ან
(v) კონკრეტული სოციალური ჯგუფის წევრობა,

არის თავისი მოქალაქეობის ქვეყნის გარეთ და ან არ შეუძლია ან ზემოთ ხსენებული შიშის გამო არ სურს იმ ქვეყნის დაცვის მიღება, ან არის ადამიანი სახელმწიფოს გარეშე, რომელმაც დატოვა თავისი ქვეყანა ან საცხოვრებელი იმავე მიზეზებით, რომელიც ზემოთაა ნახსენები ან არ შეუძლია ან ზემოთ ხსენებული შიშის გამო არ სურს იქ დაბრუნება.

დამატებითი დაცვის სტატუსი

1.1.3 თუ გადაწყდება, რომ თქვენ არ ხართ ლტოლვილი, შესაძლებელია თქვენი კვალიფიცირებადამატებით *დაცვაზე, თუ არსებობს საფუძვლიანი მიზეზი იმის დასაჯერებლად, რომ თქვენ აღმოჩნდებით სერიოზული ზიანის რეალური რისკის წინაშე, თუ დაბრუნდებით თქვენი წარმომავლობის ქვეყანაში/ან ყოფილ მუდმივ სახოვრებელ ადგილას.* დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ**ნაწილი 2.5.1**.

1.2 ვის შეუძლია გააკეთოს განაცხადისაერთაშორისო დაცვაზე?

1.2.1 პირს, რომელიც არის 18 წლის და მეტი ასაკის და იმყოფება სახელმწიფოს (ირლანდია) საზღვართან ან სახელმწიფოში (ირლანდია), შეუძლია გააკეთოს განაცხადი საერთაშორისო დაცვაზე

(ა) საკუთარი სახელით

(ბ) სხვა პირის სახელით, რომელიც არის 18 წლამდე ასაკის და რომლის ზრუნვასა და დაცვაზეა ის პასუხისმგებელი,

1.2.2 ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ **1.2.1 პარაგრაფში** მითითებული განაცხადი
(ა) ჩაითვლება მისაღებად (**იხილეთ პარაგრაფი 3.3**), ან

(ბ) თუ შემდგომი განაცხადი მიღებულია მინისტრის თანხმობით (იხილეთ**ნაწილი 3.4**).

გთხოვთ, აგრეთვე იხილეთ**ნაწილი 3.13**, კმაყოფაზე მყოფ ბავშვებთან დაკავშირებით

1.3 არის თუ არა საერთაშორისო დაცვაზე განაცხადის გაკეთება სწორი ქმედება ჩემს კონკრეტულ შემთხვევაში?

1.3.1 თქვენ უნდა გააკეთოთ განაცხადი საერთაშორისო დაცვაზე, თუ გეშინიათ წარმომავლობის ქვეყანაში/მუდმივ საცხოვრებელ ადგილას დაბრუნების.

1.3.2 თუ გაგაჩნიათ სხვა მიზეზი სახელმწიფოში (ირლანდიაში) დასარჩენად, გთხოვთ, იხილეთwww.inis.gov.ieვებგვერდი ინფორმაციისთვის.

1.4 სად შემიძლია გავაკეთო განაცხადი საერთაშორისო დაცვაზე?

1.4.1 თქვენ უნდა გააკეთოთ განაცხადი**პირადად**მინისტრის წინაშე.ეს უნდა გააკეთოთ დაუყოვნებლივ აეროპორტში ან საზღვაო პორტში, სადაც თქვენ ჩამოხვედით ირლანდიაში (სახელმწიფოში შესვლის შემდეგ) შემდეგ მისამართზე:

International Protection Office,
Irish Naturalisation and Immigration Service,
79-83 Lower Mount Street,
Dublin 2.
D02 ND99

1.5 ვინ დაამუშავებს ჩემს განაცხადს საერთაშორისო დაცვაზე?

1.5.1 საერთაშორისო დაცვაზე განაცხადის გაკეთებით, თქვენ ითხოვთ მინისტრისგან იმის გადაწყვეტას, შესაძლებელია თუ არა თქვენი კვალიფიცირება ლტოლვილად გამოსაცხადებლად ან დაამტებითი დაცვის გამოსაცხადებლად.

1.5.2 როგორც ცალკეული განაცხადის პროცედურის ნაწილს თქვენს განაცხადსსაერთაშორისო დაცვაზე ჩვეულებრივ შეამოწმებენ ოფიციალური პირები, ცნობილნი როგორც საერთაშორისო დაცვის ოფიცრები საერთაშორისო დაცვის ოფისში.ეს არის ირლანდიის ნატურალიზაციის და იმიგრაციის სამსახურის ნაწილი, რომელიც თავისთავად იუსტიციის და თანასწორობის დეპარტამენტს განეკუთნება.. ამ პროცესში შეიძლება ჩაერთონ სხვა ადამიანები საერთაშორისო დაცვის ოფისიდან.

1.6 რა არის დარჩენის ნებართვა და როგორ შემიძლია გავაკეთო მასზე განაცხადი?

1.6.1 თუ საერთაშორისო დაცვის ოფისი გააკეთებს რეკომენდაციას იმის შესახებ, რომ თქვენ არ გაქვთ უფლება მიიღოთ არც ლტოლვილის სტატუსი არც დამატებითი დაცვა, მაშინ მინისტრი გადაწყვეტს მოგცეთ თუ არა ნებართვა ქვეყანაში (ირლანდიაში) დასარჩენად სხვა მიზეზით (მაგალითად, თქვენი პირადი და ოჯახური მდგომარეობის გამო). ეს ფუნქცია აგრეთვე შესრულდება საერთაშორისო დაცვის ოფისში. თქვენ უნდა მიუთითოთ შესაბამისი ინფორმაცია საერთაშორისო დაცვის კითხვარის შესაბამის ნაწილში. თქვენ აგრეთვე უნდა

აცნობოთ საერთაშორისო დაცვის ოფისს თქვენს გარემოებებში ნებისმიერი ცვლილების შესახებ, რომელიც შესაბამისი იქნება თქვენთვის დარჩენის ნებართვის მიცემის ან მასზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად.

ეს საკითხი უფრო დეტალურად განხილულია**მე-13 ნაწილში**.

1.7 რა არის ოჯახის გაერთიანება?

17.1 თუ თქვენ მიგანიჭებენ ლტოლვილის ან დამატებითი დაცვის სტატუსს, მინიჭებიდან ერთიწლის განმავლობაში შეგიძლიათ მიმართოთ მინისტრს, რათა დაგრთოთ ნება თქვენი ოჯახის გარკვეული წევრების სახელმწიფოში (ირლანდიაში) ჩამოსაყვანად და საცხოვრებლად. **ეს ეხება მხოლოდ მეუღლეს, სამოქალაქო მეუღლეებს (თუ თქვენ დაქორწინებული იყავით ან სამოქალაქო ქორწინებაში იყავით ამ პირზე დაცვის შესახებ განაცხადის შეტანის დროს), 18 წლამდე ასაკის დაუქორწინებელ შვილებს და არასრულწლოვანისთვის დაცვის მინიჭების შემთხვევაში, აპლიკანტების მშობლებს და დედმამიშვილებს, რომლებიც 18 წლამდე ასაკის არიან.**

1.7.2 მინისტრი შეისწავლის განაცხადს და თუ დარწმუნდება, რომ პირი არის თქვენი ოჯახის წევრი, რომელსაც ეხება ოჯახის გაერთიანების მოთხოვნა, ის ამ პირს მისცემს ცხოვრების ნებრთვას.

1.7.3 მინისტრს შეუძლია უარი თქვას ოჯახის წევრისთვის ნებართვის მიცემაზე ისეთი მიზეზებით, როგორიცაა საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესები, საზოგადოებრივი წესრიგი ან თუ მსგავს ოჯახის წევრს არ აქვს უფლება იყოს ლტოლვილი ან დამატებითი დაცვის მქონე.

1.7.4 მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ როცა აკეთებთ განაცხადს საერთაშორისო დაცვაზე, თქვენ ვალდებული ხართ წარმოადგინოთ ყველა ინფორმაცია ოჯახის წევრების შესახებ, რომელთა კვალიფიცირებაც შემდგომში შესაძლოა მოხდეს ოჯახის გაერთიანებისთვის იმ შემთხვევისთვის, თუ მინისტრი მოგანიჭებთ ლტოლვილის ან დამატებითი დაცვის სტატუსს.

1.7.5 დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ**ნაწილი 14**.

ნაწილი 2
სასარგებლო ტერმინები

2.1 რა არის საერთაშორისო დაცვის ოფისი (IPO)?

2.1.1 საერთაშორისო დაცვის ოფისი(IPO)არის ორგანო ირლანდიის ნატურალიზაციის და იმიგრაციის სამსახურის ფარგლებში (INIS),რომელიც საერთაშორისო დაცვის განაცხადების შესწავლასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელია. საერთაშორისო დაცვის ოფისის ხელმძღვანელი არის საერთაშორისო დაცვის უფროსი ოფიცერი, რომელიც ხელმძღვანელობს საერთაშორისო დაცვის ოფიცერთა გუნდს.IPO-ს პერსონალი აგრეთვე მინისტრის სახელით მიიღებს გადაწყვეტილებას საჭიროა თუ არა სხვა საფუძველზე სახელმწიფოში (ირლანდიაში) დარჩენის ნებართვის გაცემა საერთაშორისო დაცვის წარუმატებელი აპლიკანტებისთვის.

2.2 რა არის საერთაშორისო დაცვის სააპელაციო ტრიბუნალი (IPAT)?

2.2.1 საერთაშორისო დაცვის სააპელაციო ტრიბუნალიIPAT არის კანონის საფუძველზე მოქმედი დამოუკიდებელი ორგანო, რომელიც შექმნილია საერთაშორისო დაცვის საჩივრებში გასარკვევად და სხვა ასეთი საჩივრების ფუნქციებითვის, რომელიც მას მინიჭებულული აქვს საერთაშორისო დაცვის აქტით, 2015, და სხვა შესაბამისი კანონმდებლობით.

2.3 ვინ არის მინისტრი?

2.3.1 მინისტრი არის იუსტიციის და თანასწორობის მინისტრი.

2.4 ვინ ითვლება ლტოლვილად?

2.4.1 ლტოლვილად რომ გცნონ, უნდა იყოთ პიროვნება, რომელსაც დევნის დასაბუთებული შიში აქვს შემდეგი მიზეზების გამო

(i) რასა,
(ii) რელიგია,
(iii) ეროვნება,
(iv) პოლიტიკური შეხედულება ან
(v) კონკრეტული სოციალური ჯგუფის წევრობა,

არის თავისი მოქალაქეობის ქვეყანის გარეთ დაარ შეუძლია ან ზემოთ ხსენებული შიშის გამო არ სურს იმ ქვეყნის დაცვის მიღება, ან არის ადამიანი სახელმწიფოს გარეშე, რომელმაც დატოვა თავისი ქვეყანა ან საცხოვრებელი იმავე მიზეზებით, რომელიც ზემოთაა ნახსენები ან არ შეუძლია ან ზემოთ ხსენებული შიშის გამო არ სურს იქ დაბრუნება.

არსებობს ადამიანების გარკვეული კატეგორია, რომლებიც არ დაიშვებიან ლტოლვილის სტატუსის მისაღებად (**იხილე ნაწილი 2.8).**

2.5 ვინაა უფლებამოსილი მიიღოს დამატებითი დაცვა?

2.5.1 ეს არის სტატუსი, რომელიც ლტოლვილის სტატუსის მსგავსია. მისი მინიჭება ხდება იმ შემთხვევაში, როცა პირი არ კვალიფიცირდება, როგორც ლტოლვილი, მაგრამ საერთაშორისო დაცვის ოფისი თვლის, რომ რეალური რისკის წინ მდგომ ამ ადამიანს რეალურ ზიანს მიაყენებენ , თუ ის დაბრუნდება თავის წარმომავლობის ქვეყანაში.

ზუსტი განვმარტებაა ასეთია, რომ ,*დამატებითი დაცვაზე უფლებამოსილების მქონე პირია ადამიანი,* რომელიც

(i) არ არის ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს მოქალაქე;

(ii) არ კვალიფიცირდება როგორც ლტოლვილი;

(iii) როცა არსებობს მყარი საფუძველი იმაში დასარწმუნებლად, რომ ის დადგება სეროზული ზიანის მიყენების რეალური რისკის წინაშე, თუ დაბრუნდება თავის წარმომავლობის ქვეყანაში/ყოფილ მუდმივი საცხოვრებლის ქვეყანაში და რომელსაც არ შეუძლია ან მსგავსი რისკის გამო არ სურს მიიღოს იმ ქვეყნის დაცვა; და

(iv) რომელიც არ არის უფლებამოსილი მიიღოს დამატებითი დაცვა გარკვეული მიზეზების გამო. იხილეთ პარაგრაფი**2.8.2**.

2.6 რა არის სერიოზული ზიანი?

2.6.1 *სერიოზული ზიანი* ნიშნავს:

(i) სიკვდილით დასჯას ან დახვრეტას;

(ii) წამებას, არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას ან პიროვნების დასჯას მის წარმომავლობის ქვეყანაში/ყოფილ საცხოვრებელ ქვეყანაში; ან

(iii) სერიოზულ და ინდივიდუალურ საფრთხეს სამოქალაქო პირის სიცოცხლის ან გაურკვეველი ძალადობის გამო საერთაშორისო ან შიდა შეიარაღებული კონფლიქტის სიტუაციაში.

2.7 რა არის იძულებით დაბრუნების აკრძალვა?

2.7.1 იძულებით უკან დაბრუნების აკრძალვა ნიშნავს რომ მინისტრმა არ უნდა გაამევოს და არ უნდა დააბრუნოს პირი იმ ტერიტორიის საზღვართან, სადაც მინისტრის აზრით,

(i) ამ პირის ცხოვრებას და თავისუფლებას დაემუქრება საფრთხე რასის, რელიგიის, ეროვნების, კონკრეტული სოციალური ჯგუფის წევრობის ან პოლიტიკური შეხედულების გამო; და

(ii) არსებობსსერიოზულირისკიიმისა, რომამადამიანს დასჯიან სიკვდილით, წამებით ან მოექცევიან არაადამიანურად ან მიაყენებენ შეურაცყოფას ან დასჯიან.

მინისტრმა უნდა შეასრულოს ეს მოვალეობა, მიუხედავად იმისა, მიენიჭა თუ არა ამ პირს ლტოლვილის ან დამატებითი დაცვის სტატუსი.

2.8 ვინ ექვემდებარება საერთაშორისო დაცვას?

2.8.1 პირს გაუუქმდება ლტოლვილის სტატუსი, თუ

(i) ის იღებს დაცვას ან დახმარებას გაეროს ორგანოებისა და სააგენტოებისგან (გარდა გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატისა(UNHCR)), როგორიცაა გაეროს დახმარების და შრომის სააგენტო (UNRWA) და ეს დაცვა ან დახმარება შეწყვეტილი არ არის.

(ii) ის აღიარებულია ქვეყნის კომპეტენტური ორგანოების მიერ, სადაც ის დასახლდა და გააჩნია უფლებები და ვალდებულებები, რომლებიც ახლავს ამ ქვეყნის მოქალაქეობას ან მასთან გათანასწორებული უფლებები და ვალდებულებები, ან

(iii) არსებობს სერიოზული მიზეზები იმისთვის, რომ ვიფიქროთ, რომ მან:

ა. ჩაიდინა დანაშაული მშვიდობის წინააღმდეგ, საომარი დანაშაული, ან დანაშაული კაცობრიობის წინაშე, როგორც ეს განსაზღვრულია საერთაშორისო დოკუმენტებით, რომლებიც შექმნილია მსგავს დანაშაულებთან დაკავშირებით.

ბ. ჩაიდინა სერიოზული არაპოლიტიკური დანაშაული სახელმწიფოს (ირლანდია) ფარგლებს გარეთ სახელმწიფოში (ირლანდიაში) ჩამოსვლამდე; ან

გ. დამნაშავეა ქმედებებში, რომლებიც გაეროს მიზნებს და პრინციპებს ეწინააღმდეგება.

გთხოვთ, გაითვალისწინეთ, რომ მსგავსი გარიცხვა ძალაშია იმ შემთხვევაშიც, თუ არსებობს სერიოზული მიზეზები იმის სავარაუდოდ, რომ პირმა <u>განახორციელა დანაშაულის ჩადენისკენ წაქეზება ან სხვაგვარად მიიღო მონაწილეობა</u> დანაშაულში ან ქმედებაში, რომელიც მითითებულია (iii) ქვეპარაგრაფში.

2.8.2 პირი არ იქნება უფლებამოსილი მიიღოს დამატებითი დაცვა, თუ არსებობს სერიოზული მიზეზები იმისთვის, რომ ვიფიქროთ, რომ მან:

(i) ჩაიდინა დანაშაული მშვიდობის წინააღმდეგ, საომარი დანაშაული, დანაშაული კაცობრიობის წინაშე, როგორც ეს განსაზღვრულია საერთაშორისო დოკუმენტებით, რომლებიც შექმნილია მსგავს დანაშაულებთან დაკავშირებით.

(ii) ჩადენილი აქვს სერიოზული დანაშაული

(iii) დამნაშავეაქმედებებში, რომლებიცეწინააღმდეგებაგაეროსმიზნებსდაპრინციპებს.

(iv) წარმოადგენს საფრთხეს საზოგადოებისა და სახელმწიფოს (ირლანდია) უსაფრთხოებისთვის.

გაითვალისწინეთ, რომ მსგავსი გარიცხვა ძალაშია იმ შემთხვევაშიც, თუ არსებობს სერიოზული მიზეზები იმის სავარაუდოდ, რომ პირმა განახორციელა დანაშაულის ჩადენისკენ წაქეზება ან სხვაგვარად მიიღო მონაწილეობა დანაშაულში ან ქმედებაში, რომელიც მითითებულია (i) – (iv) ქვეპარაგრაფში.

2.8.3 პირი არ იქნება უფლებამოსილი მიიღოს დამატებითი დაცვა, თუ მან სახელმწიფოში (ირლანდიაში) ჩამოსვლამდე ჩაიდინა დანაშაული, რომელიც მითითებული არ არის **2.8.2 პარაგრაფში**, რომელიც ირლანდიაში ჩადენის შემთხვევაში იქნებოდა დასჯადი თავისუფლების აღკვეთის გზით და თუ მან დატოვა თავისი წარმომავლობის ქვეყანა/ყოფილი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, იმიტომ, რომ თავი აერიდებინა ამ დანაშაულის გამო სასჯელის მისჯას.

2.9 რა არის EURODAC?

EURODAC ელექტრონული სისტემაა ხელმომწერ ქვეყნებს შორის თითის ანაბეჭდების გაცვლისა და შედარებისთვისევროკავშირის დუბლინის ნორმებისეფექტური გამოყენებისთვის. იხილეთ ნაწილი 10 ევროკავშირის დუბლინის ნორმებთან დაკავშირებით.

2.10 რა შედის საერთო საიმიგრაციო სივრცის ზონაში?

2.10.1 საერთო საიმიგრაციო სივრცის ზონაში (CTA) შედის ირლანდია, გაერთიანებული სამეფო, ნორმანდიის კუნძულები და მენის კუნძული.

ნაწილი 3
საერთაშორისო დაცვის პროცესი

3.1 რას შეიძლება ველოდოთ, როცა ვაკეთებ განაცხადს საერთაშორისო დაცვაზე?

3.1.1 როცა მიმართავთ საერთაშორისო დაცვას თქვენ შეგიძლიათ ელოდოთ შემდეგს:

(i) თქვენ მოგეპყრობიან პატივისცემით, ღირსეულად და სამართლიანად თქვენი ასაკის, შეზღუდული შესაძლებლობების, ეროვნების, ეთნიკური წარმომავლობის, რასის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, რელიგიის და რწმენის მიუხედავად.

(ii) საერთაშორისო დაცვის ოფისი აღიარებს, რომ ეს პროცესი შეიძლება უცხო იყოს თქვენთვის, შესაძლოა თქვენ გქონდათ მტკივნეული გამოცდილება და გაგიჭირდეთ თქვენს შესახებ მგრძნობიარე ინფორმაციის გამჟღავნება.

(iii) იმისთვის, რომ თქვენი განაცხადის განხილვისას სრულად იქნეს გათვალისწინებული თქვენი ინდივიდუალური გარემოებები, საერთაშორისო დაცვის ოფისს სურს, რომ თავი იგრძნოთ სრულიად უსაფრთხოდ განაცხადში ნებისმიერი მგძნობიარე ინფორმაციის გამჟღავნებისას, მაგალითად როგორიცაა გაუპატიურება, წამება, ცუდად მოპყრობა ან თქვენი სექსუალური ორიენტაცია. თქვენს განაცხადთან დაკავშირებით მოწოდებული ყველა დეტალს განიხილავენკონფიდენციალურობის დაცვით კანონის შესაბამისად და არ - გამჟღავნება თქვენი მშობლიური ქვეყნის ხელისუფლების ან ირლანდიაში თქვენი ქვეყნის წარმომადგენლების წინაშე.

(iv) თუ თქვენი გამოცდილებიდან გამომდინარე თქვენთვის უფრო მარტივია ქალთან ან მამაკაცთან საუბარი თქვენს შესახებ, საერთაშორისო დაცვის ოფისი გაითვალისწინებს ამ სურვილს, როცა ეს შესაძლებელია.

(v) თქვენ გკითხავენ, გსურთ თუ არა საერთაშორისო დაცვის ოფისთან საუბარი ინგლისურ ენაზე თუ დაგჭირდებათ თარჯიმანი. თქვენ უფლება გაქვთ გამოიყენოთ თარჯიმნის მომსახურება, სათანადო კომუნიკაციის უზრუნველსაყოფად.

3.2 რა არის განაცხადის გაკეთების პროცესის საწყისი ნაბიჯები?

3.2.1 მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ საერთაშორისო დაცვაზე განაცხადის გაკეთებამდე თქვენ უნდა გაიაროთ წინასწარი გასაუბრება, სადაც გადაწყდება შესაძლებელია თუ არა საერთაშორისო დაცვის ოფისის მიერ თქვენი განაცხადის მიღება.

3.3 როგორ განისაზღვრება ჩემი განაცხადის დაშვებულობა?

3.3.1 საერთაშორისო დაცვაზე განაცხადის გაკეთებამდე თქვენი წინასწარი გასაუბრების ნაწილის სახით უნდა დაარწმუნოთ საერთაშორისო დაცვის ოფიცერი, რომ თქვენი განაცხადი დასაშვებია.

3.3.2 თქვენი განაცხადი არ დაიშვება (და თქვენ არ იქნებით უფლებამოსილი გააკეთოთ განაცხადი საერთაშორისო დაცვაზე),თუ:

(i) ევროკავშირის სხვა წევრმა ქვეყანამ მოგანიჭათ ლტოლვილის სტატუსი ან დამატებითი დაცვა და/ან:

(ii) ქვეყანამ, ევროკავშირის წევრი ქვეყნის გარდა

ა. გაღიარათ ლტოლვილად დათქვენ კვლავ ითხოვთ ამ სახის დაცვას, ან

ბ. გაგაჩნიათ სხვა სახის საჭირო დაცვა იმ ქვეყანაში, მათ შორის გაძევების დაუშვებლობისგან სარგებლის მიღება და თქვენი ნ ხელახლა მიღება ამ ქვეყანაში.

3.3.3 საერთაშორისო დაცვის ოფიცერი გააკეთებს რეკომენდაციას თქვენი განაცხადის დაშვებულობის შესახებ წინაწარი ინტერვიუს შემდეგ.

3.3.4 თუ თქვენი საერთაშორისო დაცვის ოფიცერი გააკეთებს რეკომენდაციას იმის შესახებ, რომ თქვენი განაცხადი საერთაშორისო დაცვისთვის დაუშვებელია, თქვენ მიიღებთ წერილობით ანგარიშს, სადაც მითითებული იქნება მიზეზები.

3.3.5 თქვენ შეგიძლიათ გაასაჩივროთ რეკომენდაციაIPAT-ში შესაბამის დადგენილ ვადებში.დამატებითი ინფორმაცია გასაჩივრების შესახებ შეგიძლიათ იპოვოთ**მე-5 ნაწილში**. **IPAT-ის გადაწყვეტილების მიღება მოხდება ზეპირი მოსმენის გარეშე.**

3.3.6 თუ საერთაშორისო დაცვის ოფიცერი გააკეთებს რეკომენდაციას იმის შესახებ, რომ თქვენი განაცხადი დაუშვებელიადა ამ რეკომენდაციას დადასტურდება IPAT-ის მიერ, მინისტრმა უნდა მიიღოს გადაწყვეტილება თქვენი განაცხადის დაუშვებლობის შესახებ.

3.3.7 თუ განაცხადი დაუშვებელია საერთაშორისო დაცვის ოფისის ან IPAT-ის მიერ,მას მიიღებს მინისტრი საერთაშორისო დაცვის ოფისის მიერ გამოსაძიებლად და დასადგენად.

3.4 თუ უკვე მიღებული მაქვს გადაწყვეტილება საერთაშორისო დაცვაზე წინა განაცხადთან დაკავშირებით, შემიძლია თუ არა გავაკეთო ახალი განაცხადი (შემდგომი განაცხადი)?

3.4.1 პირს არ შეუძლია მეორე ან შემდგომი განაცხადის გაკეთება (*შემდგომი განაცხადი)* საერთაშორისო დაცვისთვის მინისტრის თანხმობის გარეშე.

3.4.2 განაცხადი მინისტრის თანხმობაზე, საერთაშორისო დაცვის შემდგომი განაცხადის გაკეთებაისშესახევ, უნდა გაკეთდეს წერილობითი სახით და უნდა განიხილოს საერთაშორისო დაცვის ოფიცერმა.

3.4.3 იმისთვის, რომ გააკეთოთ შემდგომი განაცხადი, საჭიროა შემდეგი პირობების დაკმაყოფილება:

(i) საერთაშორისო დაცვის წინა განაცხადთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებიდან ახალი ელემენტები და აღმოჩენები გამოვლინდა ან წარმოდგენილია თქვენს მიერ, რაც უფრო შესაძლებელს გახდის თქვენს საერთაშორისო დაცვისთვისკვალიფიცირებას,

და

თქვენ თქვენგან დამოუკიდებელი მიზეზებით ვერ შეძელით ამ ელემენტების თუ აღმოჩენების წარმოდგენა წინა განაცხადში,

ან

(ii) თუ წინა განაცხადი გატანილია ან ითვლება გატანილად, თქვენ, გატანის დროს ან გატანილად ჩათვლისას არა თქვენი მიზეზით, არ შეგეძლოთწინა განაცხადის დაცვა.

3.4.4 თუ საერთაშორისო დაცვის ოფიცერი გააკეთებს რეკომენდაციას იმის შესახებ, რომ მინისტრმა უნდა მოგცეთ თანხმობა შემდგომი განაცხადის გაკეთებაზე, მინისტრი მოგცემთ ამ თანხმობას და თქვენ ამის შემდეგ შეძლებთ განაცხადის გაკეთებას.

თუ საერთაშორისო დაცვის ოფიცერი გააკეთებს რეკომენდაციას იმის შესახებ, რომ მინისტრმა არ უნდა მოგცეთ თანხმობა შემდგომი განაცხადის გაკეთებაზე, თქვენ მიიღებთ წერილობით ანგარიშს, სადაც მითითებულია მიზეზები.

3.4.5 თქვენ შეგიძლიათ რეკომენდაციის გასაჩივრება IPAT-ში დადგენილ ვადებში. დამატებითი ინფორმაცია გასაჩივრების შესახებ შეგიძლიათ იპოვოთ**მე-5 ნაწილში**. **IPAT-ის გადაწყვეტილების მიღება მოხდება ზეპირი მოსმენის გარეშე.**თუ რეკომენდაციას არ გაასაჩივრებთ, მინისტრი არ მოგცემთ თანხმობას შემდგომი განაცხადის გაკეთებაზე.

3.4.6 თუ თქვენი გასაჩივრება წარმატებით დასრულდება, მინისტრი მოგცემთ თანხმობას შემდგომი განაცხადის გაკეთებაზე. თუ თქვენი გასაჩივრებაIPAT-ში წარუმატებლად დასრულდება, მინისტრი უარს გეტყვით შემდგომი განაცხადის გაკეთებაზე.

3.5 რა არის წინასწარი გასაუბრება?

3.5.1 წინასწარი გასაუბრებისას თქვენ დაგისვამენ შეკითხვებს, სხვა საკითხებთან ერთად, შემდეგთან დაკავშირებით:

(i) გსურთ თუ არა განაცხადის გაკეთება საერთაშორისო დაცვაზე და თუ ასეა, ძირითადი საფუძველი, რომელსაც თქვენი განაცხადი ეფუძნება,
(ii) თქვენი პიროვნება
(iii) თქვენი ეროვნება
(iv) თქვენი წარმომავლობის ქვეყანა/ყოფილი მუდმივი საცხოვრებლის ქვეყანა
(v) მარშრუტი, რომელიც გამოიარეთ სახელმწიფოში (ირლანდიაში) ჩამოსასვლელად, ტრანსპორტის სახეობა და მონაცემები იმ პირის შესახებ, ვინც დაგეხმარათ ირლანდიაში მგზავრობაში ,
(vi) მიზეზები, როს გამოც ირლანდიაში ჩამოხვედით
(vii) სახელმწიფოში (ირლანდიაში) ჩამოსვლის ან ყოფნის თქვენი სამართლებლივი საფუძვლები.

3.5.2 თქვენ აგრეთვე დაგისვამენ შეკითხვებს იმის გასარკვევად, შესაძლებელია თუ არა თქვენი დაშვება საერთაშორისო დაცვის პროცესზე (**იხილეთ ნაწილები 3.3 და 3.4**)

3.5.3 როცა ეს საჭიროა და შესაძლებელია წინასწარი გასაუბრება ჩატარდება თარჯიმნის დახმარებით.

3.5.4 ამ წინასწარი გასაუბრების ჩანაწერებს შეინახავს ის ოფიცერი, რომელიც ჩაატარებს მას. თქვენ მას წაგიკითხავენ და საჭიროების შემთხვევაში შეგიძლიათ შეიტანოთ ცვლილებები. თქვენ გთხოვენ დეკლარაციაზე ხელის მოწერას, რომ დაადასტუროთ ის ფაქტი, რომ თქვენს მიერ მოწოდებული ინფორმაცია სწორია ან მასში შეტანილია საჭირო ცვლილებები. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ თქვენ ყურადღებით წაიკითხეთ ეს დეკლარაცია და დარწმუნდით, რომ ის შეიცავს ყველა იმ შესაბამის ინფორმაციას, რომელიც წარმოადგინეთ. თქვენ ვალდებული ხართ უზრუნველყოთ ის, რომ თქვენი გასაუბრება არ იყოს არასწორად ციტირებული ან გაგებული. ამის შემდგომ მოგცემენ შეთანხმებული ინტერვიუს ჩანაწერს.

3.5.5 თუ წინასწარი გასაუბრების შემდეგ თქვენი განაცხადი ჩაითვლება დასაშვებად, თქვენ მოგცემენ საერთაშორისო დაცვაზე განაცხადის გაკეთების ნებართვას და შეავსებთ განაცხადის ფორმას.

3.6 აიღებენ თუ არა ჩემი თითების ანაბეჭდებს და სხვა ბიომეტრულ ინფორმაციას?

3.6.1 საერთაშორისო დაცვის ოფისი აიღებს თქვენს ბიომეტრულ ინფორმაციას. მასში შედის თქვენი თითის ანაბეჭედების აღება და თქვენი ფოტოსურათის გადაღება. ეს კეთდება თქვენი პიროვნების დასადგენად და იმის შესამოწმებლად,ხომ არ გქონდათ ადრე განაცხადი გაკეთებული ევროკავშირის დუბლინის რეგულაციის ხელმომწერ სახელმწიფოში (**იხილეთ ნაწილი 10).** ინფორმაცია შემოწმდება სხვა მონაცემთა ბაზებში (EURODAC-ის და ვიზების ჩათვლით), იმაში დასარწმუნებლად, რომ ირლანდია არის სახელმწიფო, რომელიც პასუხისმგებელია თქვენი განაცხადის შესწავლაზე.

თითის ანაბეჭდების აღება მოხდება მხოლოდ იმ პირისგან, რომელიც 14 წლამდე ასაკისაა, მშობლის ან პასუხისმგებელი ზრდასრული პირის თანდასწრებით ან საჭიროების შემთხვევაში TUSLA - ბავშვისა და ოჯახის სააგენტოს მიერ დანიშნული პირის თანდასწრებით განაცხადის გაკეთებისა და პროცესის დროს აპლიკანტის წარმოდგენის მიზნით.

3.7 მივიღებ თუ არაწერილობით ინფორმაციას საერთაშორისო დაცვის პროცესთან დაკავშირებით?

3.7.1 ამ ბუკლეტთან ერთად თქვენ მიიღებთ საერთაშორისო დაცვის განაცხადის კითხვარს,რომელიც უნდა შეავსოთ და დაუბრუნოთ საერთაშორისო დაცვის ოფისს. თქვენ უნდა დააბრუნოთ კითხვარი საერთაშორისო დაცვის ოფისის მიერ მითითებულ ვადებში.

<u>**თუ თქვენ არ დააბრუნებთ კითხვარს მითითებულ ვადებში, ჩაითვლება, რომ ვერ შეასრულეთ თქვენი მხრიდან განაცხადის შესწავლის თანამშრომლობის ვალდებულება. ამ საკითხთან დაკავშირებით იხილეთ ნაწილი 4.4 და ნაწილი 8.2.**</u>

3.7.2 კითხვარის შევსებამდე რეკომენდირებულია რომ მიიღოთ იურიდიული რჩევა.

3.8 რა უნდა მქონდეს თან, როცა გავაკეთებ განაცხადს საერთაშორისო დაცვაზე?

3.8.1 თქვენ უნდა წარუდგინოთIPO-ს თქვენს ხელთ არსებული ნებისმიერი დოკუმენტი, განაცხადის გაკეთებესას. მასში შედის:

- **პასპორტ(ები)** -მასში შედის თქვენი პასპორტი ან თქვენი მეუღლის და/ან ნებისმიერი თქვენს კმაყოფაზე მყოფი პირის პასპორტები, რომლებიც თქვენთან ერთად ჩამოვიდნენ ირლანდიაში (თუ შესაძლებელია).ეს საჭიროა იმისთვის, რომ საერთაშორისო დაცვის ოფისმა დაადგინოს თქვენი ასაკი, პირადობა და ეროვნება. თუ თქვენ გამოიყენეთ ყალბი პასპორტი ირლანდიამდე მთლიანი ან ნაწილობრივი მოგზაურობისას, მაშინ თან უნდა მოიტანოთ ისიც.

- **ნებისმიერი სხვა სამგზავრო დოკუმენტი** - მასში შედის სამგზავრო ბილეთები და ჩასაჯდომი ტალონები, იმ შემთხვევაშიც, თუ ისინი არაა გაცემული მგზავრობისთვის გამოყენებული პასპორტის თუპირადობის მოწმობის სახელით.

- **სხვა დოკუმენტები** - მასში შედის პირადობის მოწმობები, დაბადების/ქორწინების მოწმობები და სკოლის ატესტატი, წევრობის დამადასტურებელი დოკუმენტები და ნებისმიერი სხვა დოკუმენტი, რომელიც შეესაბამება თქვენს მოთხოვნას.

3.8.2 თქვენ საერთაშორისო დაცვის ოფისს უნდა წარუდგინოთ**ყველა ხელმისაწვდომი დოკუმენტი**თქვენი განაცხადის მხარდასაჭერად **როგორც კი შესაძლებელი იქნება**. თქვენ უნდა წარუდგინოთ ის საერთაშორისო დაცვის ოფისს იქ გამოცხადებისას ან თუ ამის გაკეთება არ შეგიძლიათ საერთაშორისო დაცვაზე განაცხადის გაკეთებისას, თქვენ უნდა მიაწოდოთ ის რაც შეიძლება სწრაფად ან საერთაშორისო დაცვის გასაუბრებაზე ან მანამდე. თუ ვერ აკმაყოფილებთ ამ მოთხოვნებს, საერთაშორისო დაცვის ოფისს უნდა მიაწოდოთ ნებისმიერი დამატებითი დოკუმენტაცია იმ ვადებში, რომელსაც დაგიდგენენ საერთაშორისო დაცვის გასაუბრებაზე.

3.8.3 გარემოებების მიხედვით, დოკუმენტაციის მიუწოდებლობა შეიძლება ჩაითვალოს საერთაშორისო დაცვის პროცესთან თანამშრომლობის თქვენი ვალდებულების შეუსრულებლობად.<u>**იხილეთ ნაწილი 4.4 და ნაწილი 8.2.**</u>

3.9 რა არის დროებითი საცხოვრებლის ცნობა (TRC) და როდის მივიღებ მას?

3.9.1 როცა აკეთებთ განაცხადს საერთაშორისო დაცვაზე და განაცხადი დასაშვებად დაიშვება, წინასაწარი რეგისტრაციის პროცესის სახით თქვენ მიიღებთ დროებითი საცხოვრებლის ცნობას (TRC). დროებითი საცხოვრებლის ცნობა ადასტურებს იმას, რომ თქვენ წარმოადგინეთ დაცვის განაცხადი ირლანდიაში.

3.9.2 დროებითი საცხოვრებლის ცნობა არ არის პირადობის მოწმობა და არ ადასტურებს თქვენ ვინაობას. მასში შევა თქვენი პირადი მონაცემები, რომელიც თქვენ წარუდგინეთ საერთაშორისო დაცვის ოფისს, თქვენი სახელის, დაბადების თარიღის და ეროვნების და თქვენი ფოტოს ჩათვლით.

3.9.3 დროებითი საცხოვრებლის ცნობა, რომლის განახლებაც შესაძლებელია, რჩება მინისტრის საკუთრებაში და თქვენ უნდა დააბრუნოთ ის, როცა ამას მინისტრი მოითხოვს. თქვენი დროებითი საცხოვრებლის ცნობა დაკარგავს ძალას, როცა თქვენი ნებართვა დაცვის აპლიკანტის სახით სახელმწიფოში (ირლანდიაში) შესვლასა და ცხოვრებასთან დაკავშირებით შეწყვეტს მოქმედებას.

3.9.4 გთხოვთ, დარწმუნდეთ, რომ თქვენი დროებითი საცხოვრებლის ცნობა განახლებულია, რადგან ის უჩვენებს იმას, რომ თქვენ გაქვთ უფლება იყოთ სახელმწიფოში (ირლანდიაში) საერთაშორისო დაცვაზე თქვენი განაცხადის მიზნით.

3.10 რა ხდება იმ შემთხვევაში, თუ ვარ შეზღუდული შესაძლებლობების ან განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირი?

3.10.1 გთხოვთ, დაუყოვნებლივ მოახსენეთ საერთაშორისო დაცვის ოფისს გასაუბრებაზე თქვენი განსაკუთრებული საჭიროებების შესახებ. საერთაშორისო დაცვის ოფისს უნდა აცნობოთ თქვენი განსაკუთრებული საჭიროებების შესახებ, იმ დღეს, როცა აკეთებთ განაცხადს. როცა ეს შესაძლებელი იქნება, საერთაშორისო დაცვის ოფისი ეცდება უზრუნველყოს ყველა ის საჭიროება, რომლის შესახებაც მას აცნობებთ.

3.11 შემიძლია თუ არა გავაკეთო განაცხადი საერთაშორისო დაცვაზე ციხეში და დაკავებაში ყოფნისას?

3.11.1 თქვენ შეგიძლიათ გააკეთოთ განაცხადი საერთაშორისო დაცვაზე მაშინაც კი, თუ ხართ დაკავებული ან პატიმრობაში სახელმწიფოში (ირლანდიაში). თქვენ შეგიძლიათ გააკეთოთ განაცხადი დაცვაზე იმ დაწესებულების ხელმძღვანელის მეშვეობით მხოლოდ, სადაც დაკავებული ხართ. თქვენ უნდა აცნობოთ მის სამსახურს დაუყოვნებლივ, თუ გსურთ დაცვაზე განაცხადის გაკეთება. ამის შემდეგ ხელმძღვანელის სამსახური მიიღებს ყველა ზომას, რომელიც საჭიროა თქვენი განაცხადის დასამუშავებლად.

3.11.2 საერთაშორისო დაცვის ოფისი დოკუმენტაციის შესწავლისას პრიორიტეტს მიანიჭებს დაკავებში მყოფი პირის განაცხადს.

3.12 რა გარემოებებში ხდება საერთაშორისო დაცვის ქვეშ მყოფის დაკავება?

3.12.1 იმიგრაციის ოფიცერს ან Garda Síochána-ს წევრს შეუძლია აპლიკანტის დაპატიმრება ორდერის გარეშე, თუ ისინი დასაბუთებულად მიიტანენ ეჭვს, რომ აპლიკანტი:

(i) წარმოადგენს საფრთხეს საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და წესრიგისთვის სახელმწიფოში (ირლანდიაში);

(ii) ჩადენილი აქვს სერიოზული არაპოლიტიკური დანაშაული სახელმწიფოს (ირლანდიის) ფარგლებს გარეთ,

(iii) არ გამოავლინა სათანადო ძალისხმევა თავისი ვინაობის დასადგენად,

(iv) აპირებს დატოვოს სახელმწიფო (ირლანდია) და იურიდიული უფლებამოსილების გარეშე შევიდეს სხვა სახელმწიფოში,

(v) იმოქმედა ან აპირებს იმოქმედოს იმგვარად, რაც ზიანს მიაყენებს-

- სახელმწიფოში (ირლანდიაში) საერთაშორისო დაცვის მინიჭების სისტემას, ან
- ნებისმიერ შეთანხმებას, რომელიც დაკავშირებულია საერთო საიმიგრაციო სივრცის ზონასთან(იხილეთ**ნაწილი 2.10**),ან

(vi) არასაპატიო მიზეზით -

- დააზიანა თავისი პირადობის ან სამგზავრო დოკუმენტი, ან
- ფლობს ან ფლობდა გაყალბებულ, შეცვლილ ან ჩანაცვლებულ პირადობის დოკუმენტს.

3.12.2 თუ დაპატიმრებული ხართ ნებისმიერი ზემოთ ხსენებული მიზეზის გამო, თქვენ წაგიყვანენ დაკავების ადგილას. მსგავსი სახით დაკავებული პირი რას შეიძება სწრაფად უნდა წარადგინონ რაიონული სასამართლოს წინაშე, რომელმაც შეიძლება მიუსაჯოს პირს 21 დღით დაკავება ან გაათავისუფლოს ის პირობების საფუძველზე. დაკავების პერიოდი დრო და დრო შეიძლება განახლდეს დამატებითი 21 დღით იმ პირებისთვის, რომლებიც საერთაშორისო დაცვის განაცხადთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებას ელიან. ამ პირობებით დაკავებული პირი უფლებამოსილია გაიაროს კონსულტაცია იურიდიულ წარმომადგენელთან და მიიღოს თარჯიმნის დახმარება იურიდიულ წარმომადგენელთან კონსულტაციისთვის და ნებისმიერი საამართლოს წინაშე წარსადგენად.

3.13 რა ხდება იმ შემთხვევაში, თუ მყავს 18 წელზე ნაკლები ასაკის ჩემს კმაყოფაზე მყოფი პირები?

3.13.1 იმ პირობით, თუ ის არ არის ირლანდიის მოქალაქე, 18 წლამდე ასაკის თქვენს კმაყოფაზე მყოფი ბავშვი ითვლება თქვენს განაცხადში ჩართულად. ეს ძალაშია მიუხედავად იმისა ბავშვი იმყოფებოდა თუ არა სახელმწიფოში (ირლანდიაში) თქვენს მიერ განაცხადის გაკეთებისას.

3.13.2 ამიტომ, თუ თქვენ გააკეთებთ განაცხადს საერთაშორისო დაცვაზე, ჩაითვლება, რომ თქვენ აკეთებთ განაცხადს თქვენს კმაყოფაზე მყოფი ბავშვის სახელით, რომელიც არ არის ირლანდიის მოქალაქე, და

(a) განაცხადის გაკეთებისას არის სახელმწიფოში (ირლანდიაში) და არის 18 წლამდე ასაკის,

(b) დაბადებულია სახელმწიფოში (ირლანდიაში),თქვენი აპლიკანტობის დროს,

(c) არის 18 წლამდე ასაკის და ჩამოვა სახელმწიფოში (ირლანდიაში),თქვენიაპლიკანტობის დროს.

3.12.3 თუ აკეთებთ განაცხადსსაერთაშორისო დაცვაზე, და გყავთთქვენს კმაყოფაზე მყოფი ბავშვები, თან უნდა მოიყვანოთ ისინი საერთაშორისო დაცვის ოფისში განაცხადის გაკეთებისას.

3.13.4 **ყურადღება: თუ თქვენი შვილი დაიბადება თქვენს მიერ საერთაშორისო დაცვაზე განაცხადის გაკეთების შემდეგ ან ნებისმიერი თქვენს კმაყოფაზე მყოფი ბავშვი შემგომში ჩამოვა სახელმწიფოში (ირლანდიაში), თქვენ დაუყოვნებლივ უნდა მიიყვანოთ ბავშვები საერთაშორისო დაცვის ოფისში.**

3.14 სად შემიძლია მივიღო იურიდიული რჩევა?

3.14.1 თქვენ იურიდიული წარმომადგენლისგან კონსულტაციის მიღების უფლება გაქვთ თქვენისაერთაშორისო დაცვის განაცხადის გაკეთებასთან დაკავშირებით. თქვენ შეგიძლიათ გამოიყენოთ იურიდიული დახმარების საბჭოს (LAB)მომსახურება, რომელიც

(i) გაგიწევთ იურიდიულ დახმარებას და მოგცემთ რჩევასთქვენს განაცხადთან დაკავშირებით მხარდაჭერაში.

(ii) მოგცემთ რჩევას თქვენი საერთაშორისო დაცვის კითხვარის შევსებასთან დაკავშირებით, იმ მიზეზებთან დაკავშირებით, რომლის მითითებაც გსურთ მინისტრის მიერ სახელმწიფოში (ირლანდიაში) დარჩენის ნებართვის მისაღებად.

(iii) დაგეხმარებათ თქვენი საერთაშორისო დაცვის გასაუბრებისთვის და მინისტრის სახელზე ნებისმიერი წერილობითი განცხადების მოსამზადებლად.

(iv) თქვენს განაცხადზე უარყოფითი რეკომენდაციის შემთხვევაში, თქვენთვის უზრუნველყოფს წარმომადგენელს ნებისმიერი გასაჩივრებლისათვის, რომელიც თქვენ შეიძლება შეიტანოთ საერთაშორისო დაცვის სააპელაციო ტრიბუნალში (IPAT).

3.14.2 LAB-ის საკონტაქტო მონაცემები მოცემულია ამ დოკუმენტის დანართში.

3.14.3 თუ არ გსურთ LAB-ის მომსახურების მიღება, შეგიძლიათ მიიღოთ კერძო იურიდიული წარმომადგენლის კონსულტაცია საკუთარი ხარჯებით. თუ გსურთ მიიღოთ იურიდიული წარმომადგენლის კონსულტაცია პირადად, დარწმუნდით, რომ ის რეგისტრირებულია, როგორც პრაქტიკოსი იურისტი ან ადვოკატი სახელმწიფოში (ირლანდიაში).

3.15 შემიძლია თუ არა უკან გავიტანო ჩემი განაცხადისაერთაშორისო დაცვასთან დაკავშირებით?

3.15.1 თქვენ შეგიძლიათ გაიტანოთ საერთაშორისო დაცვის განაცხადი ნებისმიერ დროს, სანამ თქვენს განაცხადს მოამზადებს საერთაშორისო დაცვის ოფიცერი.ამის გაკეთება შესაძლებელია საერთაშორისო დაცვის ოფისისთვის თქვენი განაცხადის გატანის შესახებ შეტყობინების გაგზავნით. შეტყობინებაში უნდა მიუთითოთ თქვენი ბოლო მისამართი, თქვენი საცნობარო ნომერი და თქვენი ხელმოწერა. თუ განაცხადში მითითებული გყავთ თქვენს კმაყოფაზემყოფი ბავშვები, გატანის შესახებ შეტყობინებაში უნდა მიუთითოთ მათი მონაცემებიც.

3.15.2 განაცხადის გატანას შედეგად მოყვება ის, რომ შეუძლებელი იქნება IPAT-ში გასაჩივრება და მინისტრი უარს გეტყვით ლტოლვილისან დამატებითი დაცვის სტატუსის მინიჭებაზე. თუმცა, გთხოვთ, გაითვალისწინეთ, რომ მინისტრი არ განიხილავს შეიძლება თუ არა თქვენთვის სხვა საფუძველზე დარჩენის ნებართვის მიცემა. თუ არ გაგაჩნიათ სახელმწიფოში (ირლანდიაში) დარჩენის სხვა საფუძველი, თქვენ დადგებით დეპორტაციის რისკის ქვეშ.

3.15.3 საერთაშორისო დაცვაზე თქვენი განაცხადის გატანამდე თქვენ უნდა მიიღოთ იურიდიული რჩევა, რომ თქვენთვის სრულად იყოს გასაგები თქვენი გადაწყვეტილების შედეგები.

ნაწილი 4
გასაუბრება და შემოწმება

4. 1 რას უნდა მოველოდე ჩემს საერთაშორისო დაცვის გასაუბრებაზე?

4.1.1 **საერთაშორისო დაცვის ოფისი** წერილობითი სახით მოგაწვდით ინფორმაციას თქვენი საერთაშორისო დაცვის ინტერვიუს თარიღის, დროის და ადგილის შესახებ. გასაუბრება ჩატარდება კონფიდენციალურად. თუ თქვენ მოითხოვეთ მდედრობითი ან მამრობითი სქესის გასაუბრების ოფიცერი და/ან თარჯიმანი, საერთაშორისო დაცვის ოფისი უზრუნველყოფს ამას თქვენთვის.

4.1.2 თქვენი გასაუბრება არის თქვენი შესაძლებლობა ისაუბროთ საერთაშორისო დაცვის ოფისთან პირისპირ და სრულად მოახსენოთ, თუ რატომ დატოვეთ თქვენი წარმომავლობის ქვეყანა და/ან თქვენი ყოფილი მუდმივი საცხოვრებლი ქვეყანა და რატომ გეშინიათ იქ დაბრუნების. ძალიან მნიშვნელოვანია გამოცხადდეთ გასაუბრებაზე, რომელიც იმდენად მგრძნობიარედა გონივრული იქნება, რამდენადაც ეს შესაძლებელია. ძალიან მნიშვნელოვანია, დამაჯერებლად წარმოადგინოთ სრული ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა შეგემთხვათ და ვინ ან რისი გეშინიათ თქვენს წარმომავლობის ქვეყანაში და/ან თქვენსმუდმივ საცხოვრებლ ქვეყანაში დაბრუნების შემთხვევაში.

4.1.3 გასაუბრებას ჩავატარებთ იმ ენაზე, რომელიც თქვენთვის გასაგები იქნება და რომელზეც თქვენ შეგიძლიათ კომუნიკაცია. საერთაშორისო დაცვის ოფიცერი გააკეთებს გასაუბრების წერილობით ჩანაწერს და წაგიკითხავთ ინტერვალებით, რომ თქვენ შეძლოთ მასში ცვლილებების ან დამატებითი ინფორმაციის შეტანა. თქვენ გთხოვენ გასაუბრების ჩანაწერის თითოეულ გვერზე ხელის მოწერას იმის დასადასტურებლად, რომ მოცემული ინფორმაცია სწორია.

4.1.4 ძალიან მნიშვნელოვანია თქვენს მიერ ნებისმიერი დამადასტურებელი საბუთის ან ისტორიის წარმოდგენა, რომელიც თან გაქვთ თქვენი მოხსენების მხარდასაჭერად გასუბრების დროს (ან მანამდე). თუ გაქვთ დამატებითი დამამტკიცებელი საბუთები, რომლის წარმოდგენაც გსურთ გასაუბრების შემდეგ, თქვენ უნდა წარუდდგინოთ ის საერთაშორისო დაცვის ოფისის მიერ მითითებულ დროში.

4.1.5 ჩვენ გავითვალისწინებთ სქესთან ან დაუცველობასთან დაკავშირებულ ინფორმაციას, რომელსაც მიუთითებთ განაცხადში ან შემოწმების პროცესის დროს.

4.1.6 **თქვენ პირდაპირი სახით არ დაგისვამენ დარჩენის ნებართვასთან დაკავშირებული შეკითხვებსგასაუბრება ორიენტირებული იქნება თქვენი დაცვის განაცხადზე.**თუმცა, თუ ასეთი საკითხები წამოიჭრება (მაგალითად, თქვენი ოჯახური გარემოებები), მათ წერილობითი სახით ჩაიწერს საერთაშორისო დაცვის ოფიცერი. თუ საერთაშორისო დაცვის ოფისი გააკეთებს რეკომენდაციას რომ თქვენ არ უნდა მოგანიჭონ საერთაშორისო დაცვა, თქვენთვის სხვა საფუძველზე დარჩენის ნებართვის მიცემა იქნება განხილული, და ამ დროს გათვალისწინებული იქნება ნებისმიერი შესაბამისი ინფორმაცია, რომელიც მოწოდებულია დაცვის განაცხადის პროცესის დროს.

4.2 შემიძლია თუ არა წამოვიყვანო ვინმე ჩემს საერთაშორისო დაცვის გასაუბრებაზე დახმარების მიზნით?

4.2.1 გასაუბრება ჩატარდება კონფიდენციალურად..თქვენს იურიდიულ წარმომადგენელს შეუძლია დაესწროს გასაუბრებას. თუ იურიდიულ კონსულტაციას იღებთ იურიდიული დახმარების საბჭოსგან, უნდა გაარკვიოთ თქვენ იურიდიულ წარმომადგენელთან, შეძლებენ თუ არა ისინი გასაუბრებაზე დასწრებას. ჩვეულებრივ, სხვებს არ შეუძლიათ გასაუბრებაზე დასწრება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ თქვენ 18 წლამდე ასაკის ხართ, გასაუბრებას უნდა დაესწროს თქვენი მეურვე ან TUSLA-ის - ბავშვისა და ოჯახის სააგენტოს წარმომადგენელი.

4.2.2 თქვენი თანმხლები პირივერ შეძლებსთქვენთვის განკუთვნილ რომელიმე შეკითხვაზეპასუხის გაცემას.

4.2.3 თუ გსურთ თქვენი იურიდიული წარმომადგენლის მოყვანა, მას ექნება გასაუბრების დაკვირვების უფლება. გასაუბრების დასაწყისას და ბოლოში თქვენს იურიდიულ წარმომადგენელს ნებისმიერი შენიშვნის გაკეთების უფლება ექნება, რომელსაც ის საჭიროდ ჩათვლის. ისინი ვერ შეძლებენ თქვენს ნაცვლად პასუხის გაცემას.

4.3 რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ არ შემიძლია დავესწრო ჩემს გასაუბრებას ან ვერ ვახერხებ მასზე დასწრებას?

4.3.1 რადგან თქვენ გაკისრიათ შემოწმების პროცესთან აქტიური თანამშრომლობის ვალდებულება, გასაუბრების გადავადება შესაძლებელია ავადმყოფობის ან სხვა **საპატიო** მიზეზების გამო. თქვენ **დაუყოვნებლივ** უნდა აცნობოთ საერთაშორისო დაცვის ოფისს, თუ ფიქრობთ, რომ შესაძლოა ვერ შეძლებთ გასაუბრებაზე მოსვლას. გასაუბრებამდე საერთაშორისო დაცვის ოფისში თქვენ უნდა წარმოადგინოთ სამედიცინო ცნობა ნებისმიერი ავადმყოფობის შესახებ, რომელიც გაცემულია თქვენი ექიმის (ოჯახის ექიმი - ან კონსულტანტი) მიერ.

4.3.2 თუ თქვენ არ დაესწრებით პირად გასაუბრებას დადგენილ დროს, თქვენ<u>ამ თარიღიდან 3 სამუშაო დღეში</u>უნდა წარუდგინოთ საერთაშორისო დაცვის ოფისს გონივრული განმარტება. საერთაშორისო დაცვის ოფისი დაამუშავებს თქვენს განაცხადს თქვენს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თქვენ ხელიდან გაუშვეით გასაუბრებაზე განმარტებების მიცემის შანსიდა განაცადის შემოწმება მოხდება თქვენი კითხვარის და ნებისმიერი დოკუმენტის საფუძველზე, რომელის წარმოადგინეთ გასაუბრების დანიშვნამდე.

4.4 მაკისრია თუ არა განაცხადის პროცესთან თანამშრომლობის ვალდებულება და რა შედეგი მოყვება, თუ ვერ მოვახერხებ ამას?

4.4.1 თქვენ ვალდებული ხართ აქტიურად ითანამშრომლოთ თქვენი საერთაშორისო დაცვის განაცხადის შემოწმებასთან დაკავშირებით.

4.4.2 თანამშრომლობის თქვენი ვალდებულება ძალიან ფართოა და მოითხოვს, რომ

(i) იყოთ პატიოსანი და დროულად წარმოადგინოთ ყველა ინფორმაცია, რომელიც საჭიროა თქვენი განაცხადის მხარდასაჭერად (ეს მოიცავს თქვენს ხელთ არსებულ განცხადებებს და დოკუმენტებსთქვენი განაცხადის მნიშვნელოვან ელემენტებთან დაკავშირებით), და

(ii) ითანამშრომლოთ თქვენი განაცხადის შემოწმებასთან და ნებისმიერი თქვენი საჩივრის განსაზღვრისას.

4.4.3 თქვენ ასევე უნდა დააკმაყოფილოთ ყველა სხვა ვალდებულება, რომლებიც მოცემულია საერთაშორისო დაცვის აქტში, 2015. ამასთან დაკავშირებით იხილეთ**მე-8 ნაწილი**.

4.4.4 თუ მინისტრს მიაჩნია, რომ

(i) თქვენ არ ასრულებთ თქვენს მოვალეობას თქვენი განაცხადის შემოწმებასთან სათანამშრომლოდ, ან

(ii) თქვენ დაარღვიეთ თქვენი ვალდებულება მინისტრის თანხმობის გარეშე სახელმწიფოს (ირლანდიის) დატოვების ან მცდელობის შესახებ, ან

(iii) თქვენ დაარღვიეთ თქვენი ვალდებულება თქვენი მისამართის ან მისამართის ცვლილების შესახებ მინისტრის დაუყოვნებლივ ინფორმირებასთან დაკავშირებით, ან

(iv) თქვენ დაარღვიეთ თქვენი ვალდებულება დაკმაყოფილოთ შეტყობინება რომელიც თქვენგან მოითხოვს:

- იცხოვროთ ან დარჩეთ განსაზღვრულ რაიონში ან ადგილას სახელმწიფოში (ირლანდიაში);
  და

- მოახსენოთ განსაზღვრული ინტერვალებით იმიგრაციის ოფიცერს ან Garda Síochána-ის განსაზღვრულ სადგურს,

მინისტრი წერილობითი სახით გაცნობებთ ამის შესახებ და მოგიწვევთ თქვენ <u>10 სამუშაო დღეში,</u> რომ წარმოადგინოთ თქვენი შეხედულებები პასუხად. თქვენ გთხოვენ დაადასტუროთ, რომ გსურთ განაცხადზე მუშაობის გაგრძელება და შეგახსენებენ თანამშრომლობის თქვენი მოვალეობის შესახებ.

4.4.5 თუ

(ა) თქვენ არ უპასუხებთ

ან, თქვენი პასუხის გათვალისწინების შემდეგ

(ბ) მინისტრი გადაწყვეტს, რომ თქვენ არ თანამშრომლობთ დაცვის პროცესთან,

თქვენი განაცხადის შემოწმება მოხდება თქვენს მიერ ამ დრომდე წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე.

4.5 რა არის შემოწმების მთავარი პროცესი, პირადი გასაუბრების ჩათვლით?

4.5.1 საერთაშორისო დაცვის ოფისი შეისწავლის თქვენს განაცხადს საერთაშორისო დაცვაზე, რომ დაადგინოს:

- <u>პირველი</u>, ხართ თუ არა უფლებამოსილი მიიღოთ ლტოლვილის სტატუსი ან თუ არ ხართ უფლებამოსილი,
- გაქვთ თუ არა დამატებითი დაცვის მიღების უფლება.

4.5.2 პროცესის ფარგლებში საჭიროა

- პირადი გასაუბრება
- თქვენი განაცხადის შემოწმება, თქვენს მიერ წერილობითი სახით ან გასაუბრებისას მოწოდებული ინფორმაციის ჩათვლით და
- შემოწმების შედეგებთან დაკავშირებით ანგარიშის მომზადება. ამ ანგარიშში შევაგამოვლენილი საკითხი და რეკომენდაციები იმასთან დაკავშირებით, ხართ თუ არა უფლებამოსილი მოოღოთ საერთაშორისო დაცვის რომელიმე ფორმა.

პირადი გასაუბრება

4.5.3 პირადი გასაუბრების მიზანია საერთაშორისო დაცვაზე თქვენი პრეტენზიის სრული დეტალების დადგენა. მეუღლეების/პარტნიორების გასაუბრება ჩვეულებრივ ცალ-ცალკე ტარდება.

4.5.4 გასაუბრებაზე თქვენ უნდა:

(i) მკაფიოდ და მოკლედ განმარტოთ, თუ რატომ გსურთ საერთაშორისო დაცვის მიღება

(ii) მკაფიოდ და მოკლედ განმარტოთ, თუ რატომ გსურთ საერთაშორისო დაცვის მიღებათქვენს კმაყოფაზე მყოფებთან დაკავშირებით, მსგავსის არსებობის შემთხვევაში

(iii) წარმოადგინოთ ყველა ინფორმაცია, დოკუმენტაციადა დეტალები დაკავშირებული თქვენს და თქვენს კმაყოფაზე მყოფთა კონკრეტულ გარემოებებთან და კერძოდ კი იმ ინფორმაციასთან თუ თქვენ ან თქვენს კმაყოფაზე მყოფებს არ შეგიძლიათ თქვენი წარმომავლობის ქვეყანაში/ან ყოფილ მუდმივ საცხოვრებელ ქვეყანაში დაბრუნება.

4.5.5 თქვენ ვალდებული ხართ ითანამშრომლოთ სრულად და პატიოსნად. თუ ამას ვერ მოახერხებთ, ეს გავლენას იქონიებს თქვენს დამაჯერებლობაზე და **ჩაითვლება, რომ თქვენ არ ითანამშრომლეთ თქვენი განაცხადის შემოწმებაში**
(იხილეთ**4.4.4 და 4.4.5** პარაგრაფები).

4.5.6 პირს, რომელიც ატარებს გასაუბრებას, შეუძლიათუ ის ამას საჭიროდ ჩათვლის, გაესაუბროს თქვენს განაცხადში მითითებულ დამოკიდებულ პირებს.

4.5.7 სათანადო კომუნიკაციის უზრუნველსაყოფად გასაუბრება ჩატარდება თარჯიმნის დახმარებით, როცა ეს საჭიროა და შესაძლებელია.

4.5.8 პირი, რომელიც ატარებს გასაუბრებას, ვალდებულია დაიცვას გასაუბრების კონფიდენციალურობა და ეკრძალება მისი ფუნქციის შესრულებისას მიღებული ინფორმაციის ნებისმიერი სხვა პირისთვის გამჟღავნება ან განხილვა, გამოყენება ან სხვისთვის გადაცემა.

4.5.9 გასაუბრებას ჩაგიტარებთ პირის, რომელსაც ჩაუტარდა ტრეინინგი საერთაშორისო დაცვის მსურველებისთვის გასაუბრების ჩატარებაში და ექნება დეტალური ინფორმაცია თქვენი წარმომავლობის ქვეყნის/თქვენი მუდმივი საცხოვრებელი ადგილის შესახებ.

4.5.10 პირი, რომელიც ატარებს გასაუბრებას, შეინახავს გასაუბრების ბეჭდურ ან ხელნაწერი სახით ჩანაწერს. თქვენ გექნებათ ჩანაწერის განხილვის შესაძლებლობა და გთხოვენ თითოეული გვერდის ხელმოწერას, რითაც დაადასტურებთ თქვენი გასაუბრების სიზუსტეს. **თუ მიგაჩნიათ, რომ ნებისმიერი ჩანაწერი ან ნაბეჭდი ინფორმაცია არ არის ზუსტი, თქვენ ამის შესახებ უნდა შეატყობინოთ პირდაპირ იმ პირს, ვინც გასაუბრებას ატარებს და გექნებათ გასაუბრებაზე მისი განმარტების შესაძლებლობა.**

4.5.11 თქვენ შეგიძლიათ განცხადების გაკეთება წერილობითი სახით საერთაშორისო დაცვის ოფისის მიმართ ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით, რომლებიც საჭიროა თქვენი განაცხადის შესამოწმებლად. ამის გაკეთება შეუძლია ნებისმიერ პირს, რომელიც დაკავშირებულია განაცხადთან, აგრეთვე შეუძლია UNHCR-საც. საჭიროა ნებისმიერი მსგავსი განაცხადის გაკეთება გასაუბრებამდე. საერთაშორისო დაცვის ოფისი გაითვალისწინებს ყველა ასეთ განცხადებას, რომლებიც გაკეთებულია გასაუბრებამდე ან თქვენთან გასაუბრების დროს და აგრეთვე გაითვალისწინებს განცხადებებს, რომლებიც გაკეთდა გასაუბრების შემდგომ იმ შემთხვევაში, თუ ის წარმოდგენილია განაცხადთან დაკავშირებით ანგარიშის გაკეთებამდე.

4.5.12 პირადი გასაუბრება შეიძლება შეწყდეს, თუ საერთაშორისო დაცვის ოფიცერი ჩათვლის, რომ

(i) წარმოდგენილი დამამტკიცებელი საბუთები უთითებენ იმაზე, რომ აპლიკანტს უნდა მიანიჭონ ლტოლვილის სტატუსი;

(ii) აპლიკანტი არის 18 წლამდე ასაკის, და არის იმდენად პატარა ასაკის ან მოწიფულობის დაბალი დონის მქონე, რომელთან გასაუბრება ხელს არ შეუწყობს შემოწმების პროცესს, ან

(iii) აპლიკანტი არ გრძნობს თავს კარგად ან არ შეუძლია გასაუბრებაში მონაწილეობის მიღება ისეთი გარემოებების გამო, რომლებიც ძალიან მყარია ან მის კონტროლს არ ექვემდებარება.

თქვენი განაცხადის შესწავლა და რეკომენდაციის მომზადება

4.6 რა ხდება ჩემი ინტერვიუს შემდეგ?

4.6.1 საერთაშორისო დაცვის ოფისი გაითვალისწინებს ყველა ინფორმაციას, რომელიც შეეხება თქვენს განაცხადს საერთაშორისო დაცვაზე და ამის საფუძველზემოამზადებს რეკომენდაციას.

4.7 რა არის ჩემი საერთაშორისო დაცვის განაცხადისშესაძლო შედეგები?

4.7.1 საერთაშორისო დაცვის ოფიცერი შეადგენს წერილობით ანგარიშს, რომელიც შეიცავს რეკომენდაციას საერთაშორისო დაცვაზე თქვენს განაცხადთან დაკავშირებით.რეკომენდაცია იქნება ერთ-ერთი შემდეგი სახით:

(i) თქვენ უნდა მოგანიჭონ ლტოლვილის სტატუსი,

(ii) თქვენ არ უნდა მოგანიჭონ ლტოლვილის სტატუსი, მაგრამ უნდა მოგცენ დამატებითი დაცვის დეკლარაცია, ან

(iii) თქვენ არ უნდა მოგანიჭონ არც ლტოლვილის და არც დამატებითი დაცვის სტატუსი.

4.7.2 იმ შემთხვევაში, თუ რეკომენდირებულია, თქვენთვის არც ლტოლვილის და არც დამატებითი დაცვის სტატუსისმინიჭება საერთაშორისო დაცვის ოფიცერის ანგარიში შეიძლება შეიცავდეს ერთ ან მეტ გამოვლენილ საკითხს იმის შესახებ, რომ:

(i) თქვენს განაცხადში წამოჭრილია ისეთი საკითხები, რომებიც არ შეესაბამება ან მინიმალურად შეესაბამება თქვენს საერთაშორისო დაცვაისუფლებას.

(ii) თქვენ გააკეთეთ შეუსაბამო, წინააღმდეგობრივი, შეუძლებელი ან არასაკმარისი განცხადება, რომელთა გამოც თქვენი განაცხადი საერთაშორისო დაცვაზე დამაჯერებელი არ არის,

(iii) თქვენ საპატიო მიზეზის გარეშე არ წარმოადგინეთ თქვენი განაცხადი და გქონდათ ამის შესაძლებლობა,

(iv) თქვენ არ გჭირდებათ საერთაშორისო დაცვა, რადგან თქვენთვის ხელმისაწვდომია დაცვა თქვენი წარმომალობის ქვეყნის/თქვენი ყოფილი მუდმივი საცხოვრებელი ქვეყნის ნაწილში,

(v) თქვენი წარმომალობის ქვეყანა/თქვენი ყოფილი მუდმივი საცხოვრებელი ქვეყანა უსაფრთხოწარმომალობის ქვეყნად/ყოფილ მუდმივ საცხოვრებელ ქვეყნად ითვლება.

როცა ანგარიშში მოცემულია ზემოთ ხსენებულიდან, ერთერთი, IPAT-ში გასაჩივრების უფრო ხანმოკლე ვადა შეიძლება იყოს გამოყენებული. გასაჩივრების პროცესთან დაკავშირებით იხილე **მე-5 ნაწილი.**

4.7.3 ცალკეული პროცედურის ნაწილის სახით, თუ თქვენ არ გცნობენ უფლებამოსილად ლტოლვილის სტატუსის ან დამატებითი დაცვის მისანიჭებლად, მინისტრი გადაწყვეტს, არსებობს თუ არა რაიმე მიზეზი, თუ რატომ უნდა დარჩეთ სახელმწიფოში (ირლანდიაში). იხილეთ**პარაგრაფი 1.6**და**ნაწილი 13**.

4.7.4 მინისტრი გაცნობებთ ორივეს თქვენ და თქვენს იურიდიულ წარმომადგენელს (თუ ცნობილია) საერთაშორისო დაცვის ოფიცერის რეკომენდაციის შესახებ რეგისტრირებული ფოსტის მეშვეობით. თუ რეკომენდაციის თანახმად თქვენ უფლებამოსილი ხართ მოგანიჭონ ლტოლვილის სტატუსი, თქვენ უბრალოდ გაცნობებენ ამ ფაქტის შესახებ.

თუ თქვენ უარს გეტყვიან ლტოლვილის სგტატუსზე ან ორივე - ლტოლვილისა დადამატებითი დაცვაის სტატუსზე , თქვენ გამოგიგზავნიან:

(i) განცხადებას რეკომენდაციების მიზეზების შესახებ,

(ii) ანგარიშის ასლს, რომელიც შეიცავს რეკომენდაციას, და

(iii) ინფორმაცია, თუ როგორ უნდა გაასაჩივროთ ეს რეკომენდაციაIPAT-ში.

4.7.5 თუ გადაწყდება, რომ თქვენ არ გაქვთ უფლება მიიღოთ საერთაშორისო დაცვა, თქვენ აგრეთვე მიიღებთ ინფორმაციას იმის შესახებ გადაწყვიტა თუ არა მინისტრმა სხვა საფუძველზე თქვენთვის დარჩენის ნებართვის მიცემა, ამ გადაწყვეტილების მიზეზებთან ერთად.

4.7.6 თქვენ შეგიძლიათ გაასაჩივროთ რეკომენდაცია თქვენთვის საერთაშორისო დაცვის არ მინიჭების შესახებ (ლტოლვილის სტატუსი ან ორივე ლტოლვილის სტატუსი და დამატებითი დაცვა)IPAT-ში. IPAT-ის გადაწყვეტილებას თქვენს გასაჩივრებასთან დაკავშირებით, და ამის მიზეზებსორივეს შეგატყობინებენ თქვენ და თქვენს იურიდიულ წარმომადგენელს (თუ ცნობილია).

4.7.7 <u>თქვენ არ შეგიძლიათ გაასაჩივროთ მინისტრის გადაწყვეტილება თქვენთვის დარჩენის ნებართვის მიუცემლობის შესახებ.</u>

4.7.8 თუ თქვენ გაასაჩივრებთ რეკომენდაციას თქვენთვის საერთაშორისო დაცვის არ მინიჭების შესახებ დაIPAT მხარს დაუჭერს ამ რეკომენდაციას, მინისტრი შემდეგ განიხილავს თქვენთვის დარჩენის ნებართვის არ მინიჭების გადაწყვეტილებას, თუ თქვენ წარმოადგენთ ახალ ინფორმაციას გარემოებების ცვლილებების შესახებ (რომელიც საჭიროა გადაწყვეტილების მისაღებად) თავდაპირველი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ (იხილეთ **პარაგრაფი 13.5**).

4.8 რა მოხდება, თუ ვერ მივიღებ რეკომენდაციას საერთაშორისო დაცვაზე ჩემს განაცხადთან დაკავშირებით 6 თვის განმავლობაში?

4.8.1 თუ თქვენ ვერ მიიღებთ რეკომენდაციას თქვენს განაცხადთან დაკავშირებით 6 თვის განმავლობაში, მინისტრი თქვენი მოთხოვნით გაცნობებთდადგენილი პერიოდის შესახებ, რომლის განმავლობაშიც მოხდება რეკომენდაციის გაკეთება. თუმცა ეს არ ავალდებულებს საერთაშორისო დაცვის ოფისს გააკეთოს რეკომენდაცია ამ ვადებში.

ნაწილი 5
გასაჩივრება და საერთაშორისო დაცვა

5.1 შემიძლია თუ არა გავასაჩივრო რეკომენდაცია ჩემთვის საერთაშორისო დაცვის არ მინიჭების შესახებ და სხვა რეკომენდაციები?

5.1.1 დიახ. თუ გაკეთდება რეკომენდაცია იმის შესახებ, რომ თქვენ არ ხართ უფლებამოსილი მიიღოთ ლტოლვილის ან დამატებითი დაცვის სტატუსი, თქვენ შეგიძლიათ გაასაჩივროთ ეს რეკომენდაცია.

5.1.2 თქვენ აგრეთვე შეგიძლიათ გაასაჩივროთ რეკომენდაცია იმის შესახებ, რომ

(i) თქვენი დაცვის განაცხადი დასაშვები არ არის, ან

(ii) თქვენ არ გაქვთ უფლება გააკეთოთ შემდგომი განაცხადი საერთაშორისო დაცვაზე.

5.2 როგორ უნდა გავასაჩივრო?

5.2.1 თქვენ უნდა გააგზავნოთ საჩივარი საერთაშორისო დაცვის სააპელაციო ტრიბუნალში. როცა თქვენ მიიღებთ რეკომენდაციას, თქვენ მიიღებთ საჩივრის ასლს, რომელიც უნდა შეავსოთ.

5.3 რა არის გასაჩივრების ვადები?

5.3.1 თქვენს რეკომენდაციაში ჩართული უნდა იყოს შესაბამისი ვადები.

5.4 მაქვს იურიდიული წარმომადგენლობის უფლება ჩემს საჩივართან მიმართებით?

5.4.1 დიახ.თქვენ უნდა განიხილოთ თქვენი საჩივარი თქვენს იურიდიულ წარმომადგენელთან.თუ იურიდიული წარმომადგენელი არ გყავთ, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ იურიდიული დახმარების საბჭოს.დამატებით, თქვენ შეგიძლიათ დაიქირაოთ კერძო ადვოკატი საკუთარი ხარჯებით, რომელიც დაგეხმარებათ.

5.5 რამდენად მალე მოხდება ჩემი საჩივრის მოსმენა?

5.5.1 საერთაშორისო დაცვის სააპელაციო ტრიბუნალი დაგიკავშირდებათ და მოგახსენებთ დეტალების შესახებ, თუ როდის მოხდება თქვენი განაცხადის მოსმენა.

5.6 სად შემიძლია ვიპოვო დამატებითი ინფორმაცია გასაჩივრებისშესახებ?

5.6.1 ინფორმაცია საერთაშორისო დაცვის განაცხადის გასაჩივრების პროცესის შესახებ შეგიძლიათ იპოვოთ IPAT-ის ვებგვერდზე: www.protectionappeals.ie.

ნაწილი 6
ლტოლვილის ან დამატებითი დაცვის სტატუსის გამოცხადება

6.1 რა მოხდება რეკომენდაციის მიღების შემდეგ?

6.1.1 თუ საერთაშორისო დაცვის ოფისი რეკომენდაციას გაგიწევ, რომ თქვენ უნდა მოგანიჭონ ლტოლვილის ან დამატებითი დაცვის სტატუსი ან IPAT დაუბრუნებს უარყოფით რეკომენდაციას საერთაშორისო დაცვის ოფისს, მინისტრი, რაც შეიძლება სწრაფად მოგანიჭებთლტოლვილის ან დამატებითი დაცვის სტატუსს, რომელიც უფრო მისაღებია.ეს ექვემდებარება ქვემოთ მოცემულ **6.1.4 პარაგრაფს**.

6.1.2 თუ საერთაშორისო დაცვის ოფისი რეკომენდაციას გაგიწვთ, რომ თქვენ არ უნდა მოგცენ არცერთი სტატუსი და

(i) თქვენ არ გაასაჩივრებთ, ან

(ii) თქვენ გაასაჩივრებთ და ეს წარუმატებლად დასრულდება

მინისტრი უარს იტყვის ნებისმიერი სტატუსის მინიჭებაზე.

6.1.3 ლტოლვილის ან დამატებითი დაცვის სტატუსი შეწყვეტს მოქმედებას, როცა თქვენ გახდებით ირლანდიის მოქალაქე.

6.1.4 იმ შემთხვევაშიც კი, თუ საერთაშორისო დაცვის ოფისი მოგცემთ რეკომენდაციას ან IPAT გასაჩივრებისას გადაწყვეტს, რომ თქვენ ხართ ლტოლვილი, მინისტრს შეუძლია უარი თქვას თქვენთვის სტატუსის მინიჭებაზე, თუ:

(i) არსებობს თქვენი სახელმწიფოს (ირლანდიის) უსაფრთხოების საფთხედ მიჩნევის გონივრული საფუძველი , ან

(ii) თქვენ წარმოადგენთ საფრთხეს სახელმწიფოს (ირლანდიის) საზოგადოებისთვის, რადგან თქვენ დადანაშაულებული ხართ განსაკუთრებულად საშიშ დანაშაულში (სახელმწიფოს (ირლანდიის) ფარგლებს შიგნით ან გარეთ).

ნაწილი 7
თქვენი უფლებები საერთაშორისო დაცვის მინიჭების შემთხვევაში

7.1 რა უფლებები მექნება საერთაშორისო დაცვის მიღების შემთხვევაში?

7.1.2 როცა თქვენ მიიღებთ ლტოლვილის ან დამატებითი დაცვის სტატუსს საერთაშორისო დაცვის აქტის, 2015 დებულებების თანახმად, თქვენ უფლებამოსილი ხართ:

(i) დასაქმდეთ, დაკავდეთ ნებისმიერი ბიზნესით, ვაჭრობით ან პროფესიით. გექნებათ წვდომა განათლებაზე სახელმწიფოში (ირლანდიაში) იგივე სახით, როგორც ირლანდიის მოქალაქეს;

(ii) ირლანდიის მოქალაქეების მიმართ მოქმედი პირობების შესაბამისად მიიღოთ იგივე სახის სამედიცინო დაცვა და სოციალური სარგებელი, რომლის მიღების უფლებაც ირლანდიელებს აქვთ

(iii) სახელმწიფოში (ირლანდიაში) **განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში იცხოვროთ**არანაკლებ სამიწელსა ,რაც პირობების შესაბამისად უნდა განახლდეს, და

(iv) სახელმწიფოში (ირლანდიაში) და იქიდან მგზავრობის იგივე უფლებები, რომლებიც ირლანდიის მოქალაქეებს აქვთ და სამგზავრო დოკუმენტი.

ნაწილი 8
თქვენი უფლებები და ვალდებულებები საერთაშორისო დაცვის პროცესში

8.1 რა უფლებები გამაჩნია საერთაშორისო დაცვის განაცხადის პროცესში?

8.1.1 სანამ მიმდინარეობს თქვენი საქმის განხილვა ევროკავშირის დუბლინის რეგულაციის შესაბამისად, რა შემთხვევაშიც გამოიყენება გაკრვეული ალტერნატიული საშუალებები (იხილეთ**მე- 10 ნაწილი**), თქვენი, როგორც საერთაშორისო დაცვის აპლიკანტის უფლებები მოიცავს შემდეგს:

(i) მინისტრი მოგცემთ სახელმწიფოში (ირლანდიაში) შესვლის და დარჩენის უფლებას საერთაშორისო დაცვის ოფისის მიერ თქვენი განაცხადის შესწავლის დაIPAT-ში თქვენს გასაჩივრებასთან დაკავშირებით. იხილეთ**პარაგრაფი 8.1.2**.

(ii) სადაც ეს შესაძლებელი და საჭიროა თქვენ უფლება გაქვთ მიიღოთ თარჯიმნის მომსახურება სათანადო კომუნიკაციის უზრუნველყოფის მიზნით.

(iii) თქვენ უფლება გაქვთ მოითხოვოთ იურიდიული რჩევა და დახმარება იურიდიული დახმარების საბჭოსგან. ასევე, სურვილის შემთხვევაში, საკუთარი ხარჯებით შეგიძლიათ კერძო იურისტის დაქირავება.

(iv) თქვენ გაქვთ UNHCR-თან კომუნიკაციის უფლება. საკონტაქტო მონაცემები შეგიძლიათ იპოვოთ დანართში.

(v) თქვენ უფლება გაქვთ წარუდგინოთ დოკუმენტები მინისტრს თქვენ განაცხადთან დაკავშირებით, რაც წერილობითი სახით უნდა გაკეთდეს.

(vi) მიღებისა და ინტეგრაციის სააგენტოს (RIA) შეუძლია შემოგთავაზოთ საცხოვრებელი (სრული პანსიონის საფუძველზე), სანამ მიმდინარეობს თქვენი განაცხადის დამუშავება.ამ შემოთავაზების მიღება ექვემდებარება თქვენს მიერ სახლის წესების დაკმაყოფილებას, რომელიც მოცემულიაwww.ria.ie-ზე. RIA-ის საკონტაქტო მონაცემები მოცემულია**დანართში.**

(vii) თქვენს განაცხადთან დაკავშირებით მოწოდებული ყველა დეტალის განხილვა მოხდება კონფიდენციალური სახით.თუმცა შეიძლება სხვა საჯარო ორგანოებისთვის ინფორმაციის გამჟღავნება, რომლებიც შესაძლოა მუშაობდნენ თქვენთან, მაგალითად ირლანდიის სამთავრობო დეპარტამენტები და სააგენტოები,An Garda Síochána (ირლანდიის პოლიცია)და ადგილობრივი ხელისუფლება. ეს ამ ორგანიზაციებს საკუთარი ფუნქციების შესრულების საშუალებასმისცემს, სახელმწიფოში (ირლანდიაში) უცხო ქვეყნის მოქალაქეების შესვლის და გაყვანის შესახებ კანონის გამოყენების ჩათვლით. გარკვეული ინფორმაცია შეიძლება მიეწოდოს სხვა სახელმწიფოებს, რომლებიც მუშაობენ ევროკავშირის დუბლინის რეგულაციის ფარგლებში.

(viii) საერთასორისო დაცვის ოფისი,IPATან მინისტრი წერილობითი სახით შეგატყობინებთ ნებისმიერი შეხვედრის, გასაუბრების, გადაწყვეტილების ან შეტყობინების შესახებ, რომელიც დაკავშირებულია საერთაშორისო დაცვის თქვენს განაცხადთან, რასაც თქვენს მიერ მითითებულ მისამართზე მოგართმევენ.

8.1.2 თქვენი დროებითი საცხოვრებლის ცნობა შეწყვეტს მოქმედებას, როცა შეწყვეტთ საერთაშორისო დაცვის აპლიკანტად ყოფნას, მაგალითად, როცა მინისტრი გადაწყვეტს არ მოგანიჭოთ ლტოლვილის ან დამატებითი დაცვის სტატუსი ან თუ მოხდება თქვენი გადაცემა სახელმწიფოდან (ირლანდიიდან) ევროკავშირის დუბლინის რეგულაციების შესაბამისად.

8.2 რა ვალდებულებები გამაჩნია საერთაშორისო დაცვის განაცხადის პროცესში?

8.2.1 როგორც საერთაშორისო დაცვის აპლიკანტს თქვენ გაკისრიათ შემდეგი ვალდებულებები:

(i) თქვენ ვალდებული ხართ დაიცვათ სახელმწიფოს (ირლანდიის) კანონები და თქვენზე დაკისრებული ნებისმიერი სხვა მოთხოვნა.

(ii) თქვენ ვალდებული ხართ სრულად ითანამშრომლოთ თქვენი განაცხადის ყველა ასპექტის შესწავლასა და ნებისმიერი საჩივრის გარკვევაში, თქვენი განაცხადის მხარდასაჭერად თქვენს ხელთ არსებული ყველა ინფორმაციისა და დოკუმენტაციის წარმოდგენის ჩათვლით,

(iii) თუ თქვენ შეიცვლით მისამართს, დაუყოვნებლივ **წერილობითი სახით უნდა აცნობოთ საერთაშორისო დაცვის ოფისს** თქვენი ახალი მისამართი. ეს ძალაშია იმ შემთხვევაშიც თუ თქვენ ირლანდიის ინტეგრაციის სააგენტო (RIA) გადაგიყვანთ ახალ საცხოვრებელში. **თუ ასე არ მოიქცევით, ეს დარღვევად ჩაითვლება.**

(iv) საერთაშორისო დაცვის ოფისსა და IPAT-თან მიმოწერისას მკაფიოდ უნდა მიუთითოთ თქვენი**სახელი, მისამართი, ეროვნება, პირადი ნომერი,** რომლებიც მოცემულია თქვენი დროებითი საცხოვრებლის ცნობაში.

(v) **თქენ არ უნდა დატოვოთ ან ეცადოთ სახელმწიფოს (ირლანდიის) დატოვება**მინისტრის თანხმობის გარეშე სანამ მიმდინარეობს თქვენი განაცხადისგანხილვა.სახელმწიფოს (ირლანდიის) დატოვებამინისტრის თანხმობის გარეშე არის **დარღვევა.**

(vi) **თქვენ არ გაქვთ უფლება ეძებოთ სამუშაო, იმუშაოთ, დაკავდეთ ბიზნესით, ვაჭრობით ან პროფესიით.**სამსახურის დაწყება და ვაჭრობით დაკავება არის **დარღვევა.**

(vii) თქვენ ან თქვენმა იურიდიულმა წარმომადგენელმა უნდა შეინახოთ საერთაშორისო ორგანზაციის და IPAT-ის მიერ თქვენთვის გადმოცემული ყველა დოკუმენტის ასლი.

(viii) თქვენ შეიძლება მოგთხოვონ სახელმწიფოს (ირლანდიის)**კონკრეტულ რაიონში ან ადგილას ცხოვრება ან დარჩენა.** თუ ამას არ შეასრულებთ, ეს **დარღვევად** ითვლება.

(ix) თქვენ შეიძლება მოგთხოვონ კონკრეტული ინტერვალებით იმიგრაციის ოფიცერთან ანGarda Síochána (ირლანდიის პოლიცია) სადგურში ანგარიშის წარდგენა.თუ ამას არ შეასრულებთ, ეს **დარღვევად** ითვლება.

(x) მუდამ უნდა იყოთ**პატიოსანი** იმ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რომელსაც წარმოადგენთ თქვენს განაცხადთან დაკავშირებით და თუ ამას არ შეასრულებთ, ეს **დარღვევად** ითვლება.

(xi) თქვენს კითხვარში უნდა წარმოადგინოთ ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც საჭიროა მინისტრის მიერ თქვენთვის დარჩენა არ დარჩენის უფლების მოცემის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად. თქვენ აგრეთვე შეგიძლიათ წარმოადგინოთ ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც საჭირო იქნება მინისტრის მიერ გადაწყვეტილების მისაღებად იმასთან დაკავშირებით მოგცეთ თუ არა დარჩენის ნებართვას განაცხადის გაკეთებასა და თქვენი დაცვის განაცხადის შემოწმების შესახებ ანგარიშის მომზადებას შორის პერიოდში. თქვენ აგრეთვე დაუყოვნებლივ უნდა აცნობოთ მინისტრს გარემოებების ნებისმიერი ცვლილების შესახებ, რომელიც შეიძლება საჭირო იყოს მინისტრის მიერ ამ საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მისაღებად. დარჩენის ნებართვასთან დაკავშირებული ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ **მე-13 ნაწილში.**

(xii) თქვენს ხელთ არსებული, კოდანტროლირებადი ან შეძენილი ყველა შესაბამისი ინფორმაცია უნდა გახადოთ საერთაშორისო დაცვის ოფისისა და IPAT-თვის ხელმისაწვდომი.

<u>ყურადღება</u>

8.2.2 საერთაშორისო დაცვის ოფისის ან IPAT-ს (რომელიც შესაფერია)უნდა მიაწოდოთ დეტალები **თქვენი იურიდიული წარმომადგენლის შესახებ (სახელი, მისამართი, ტელეფონის ნომერი და ა.შ), აგრეთვე უნდა აცნობოთ იურიდიული წარმომადგენლის ცვლილების შესახებ, რაც შეიძლება მალე**თუ მსგავსი სახით არ იმოქმედებთ, ეს გავლენას იქონიებს თქვენი იურიდიული წარმომადგენლის მიერ თქვენთვის კონსულტაციის გაწევასა და დახმარებაზე თქვენს საერთაშორისო დაცვის განაცხადთან დაკავშირებულ ნებისმიერ კომუნიკაციასა და გადაწყვეტილებასთან მიმართებით.

ნაწილი 9
ბავშვები თანმხლების გარეშე

9.1 რა ხდება იმ შემთხვევაში, თუ განაცხადს გავაკეთებ საერთაშორისო დაცვაზე, როგორც ბავშვი თანმხლების გარეშე?

9.1.1 თუ თქვენ ხართ ბავშვი(18 წლამდე ასაკის) და არ გახლავთ ზრდასრული პირი, რომელიც იღებს თქვენზე ზრუნვის და თქვენი დაცვის პასუხისმგებლობას, თქვენ გადაგცემენTUSLA-ს - ბავშვისა და ოჯახის სააგენტოს.

9.1.2 თქვენ შეიძლება დაგჭირდეთ ასაკის შეფასების შესახებ გასაუბრების გავლა, რომლესაც საერთაშორისო დაცვის ოფისი ჩაატერებს. მისი მიზანია ძირითად ფაქტების დადგენა თქვენი მგზავრობის ფაქტებთან დაკავშირებით, ინფორმციის მოპოვება თქვენი მშობლების ადგილსამყოფელის შესახებ, თქვენი განათლების და მოწიფულობის დონის შესახებ. ოფიცერი, რომელიც გასაუბრებას ატარებს, მოგვიანებით გადაწყვეტს გთვლიან თუ არა 18 წლამდე ასაკის პირად, **TUSLA-ის დახმარებით - ბავშვისა და ოჯახის სააგენტო.**.საჭიროების შემთხვევაში

9.1.3 თუ გადაგცემენ TUSLA-ს - ბავშვისა და ოჯახის სააგენტოს, ეს სააგენტო აიღებს პასუხისმგებლობას თქვენზე და გადაწყვეტს არის თუ არა თქვენს ინტერესებში საერთაშორისო დაცვაზე განაცხადის გაკეთება ან შესაძლებელია თუ არა სხვა ალტერნატივების გამოყენება ოჯახის გასაერთიანებლად ან მის მოსაძებნად.

9.2 რა პროცედურებია იმ შემთხვევაში, თუ TUSLA - ბავშვისა და ოჯახის სააგენტო გააკეთებს განაცხადს საერთაშორისო დაცვაზე ჩემთვის?

9.2.1 თუ TUSLA - ბავშვისა და ოჯახის სააგენტო ჩათვლის, რომ თქვენს ინტერესებში შედის თქვენი სახელით საერთაშორისო დაცვაზე განაცხადის გაკეთება მისთვის ხელმისაწვდომი ინფორმაციის საფუძველზე, ის დანიშნავს შეხვედრასTUSLA-ს თანამშრომელთან ან ნებისმიერ პირთან, ვინაიდან ის განსაზღვრავს გააკეთოს თუ არა ასეთი განაცხადი, წარმოგადგინოთ და დაგეხმაროთ გასაუბრებაზე და შემოწმების პროცესში.

9.3 რა პროცედურებია 18 წლამდე ასაკის ბავშვის იურიდიული დახმარების საბჭოსთვის (LAB) გადასაცემად?

9.3.1 TUSLA-ს - ბავშვისა და ოჯახის სააგენტოს შეუძლია დაუკავშირდეს იურიდიული დახმარების საბჭოს, თქვენთვის იურიდიული წარმომადგენლობის უზრუნველყოფისთვის. განსაკუთრებული ზომები იქნება მიღებული TUSLA-თან - ბავშვისა და ოჯახის სააგენტოსთან, რომ ის გამოგყვეთ გასაუბრებაზე.

ნაწილი 10
ევროკავშირის დუბლინის რეგულაცია

10.1 რა არის ევროკავშირის დუბლინის რეგულაცია?

10.1.1 ევროკავშირის დუბლინის რეგულაცია უზრუნველყოფს სამართლებლივ საფუძველს და პროცედურულ წესებს კრიტერიუმებისა და მექანიზმებისშესაქმნელად იმ სახელმწიფოს განსასაზღვრისთვის, რომელიც ერთერთ მონაწილე სახელმწიფოში მესამე ქვეყნის მოქალაქის ან მოქალაქეობის არ მქონე პირის მიერ გაკეთებულ საერთაშორისო დაცვის განაცხადის შესწავლაზე პასუხისმგებელი იქნება.

10.1.2 როცა აკეთებთ განაცხადს საერთაშორისო დაცვაზე საერთაშორისო დაცვის ოფისში, თქვენ მოგაწვდიან დამატებით ინფორმაციას დუბლინის პროცესის შესახებ.

10.1.3 თუ თქვენ შეესაბამებით ვროკავშირის დუბლინის რეგულაციას, შესაძლოა გადაგცენ სხვა მონაწილე სახელმწიფოს თქვენი საერთაშორისო დაცვის განაცხადის იქ შესამოწმებლად.

ნაწილი 11
საკუთარი სურვილით დაბრუნების ალტერნატივები

11.1 მაქვს თუ არა შესაძლებლობა საკუთარი ნებით დავბრუნდე ჩემი წარმომავლობის ქვეყანაში/ყოფილ მუდმივი საცხოვრებლის ქვეყანაში?

11.1.1 თქვენ შეგიძლიათ საკუთარი სურვილით დაბრუნდეთ თქვენი წარმომავლობის ქვეყანაში/ყოფილ მუდმივი საცხოვრებლის ქვეყანაში საერთაშორისო დაცვაზე თქვენი განაცხადის შესაწავლისას ან განაცხადზე უარის მიღების შემთხვევაში. თუ თქვენი განაცხადი უკანაა გატანილი, ამ დროსაც შეგიძლიათ საკუთარი სურვილით დაბრუნდეთ თქვენი წარმომავლობის ქვეყანაში/ყოფილ მუდმივი საცხოვრებლის ქვეყანაში.

11.1.2 თუ მინისტრი შეგატყობინებთ თავისი გადაწყვეტილების შესახებ, რომ გითხრათ უარი საერთაშორისო დაცვაზე, თქვენ გაცნობებენ საკუთარი სურვილით თქვენი წარმომავლობის ქვეყანაში/ყოფილ მუდმივი საცხოვრებლის ქვეყანაში დაბრუნების ალტერნატივის შესახებ. ამ ეტაპზე ამ ვარიანტის გამოსაყენებლად თქვენ წერილობითი სახით უნდა შეატყობინოთ მინისტრს მისი შეტყობინების მიღებიდან 5 დღის განმავლობაში. გადაწყვეტილების შესახებ წერილში მითითებული იქნება მონაცემები იმის შესახებ, თუ ვის უნდა დაუკავშირდეთ თქვენი წარმომავლობის ქვეყანაში/ყოფილ მუდმივი საცხოვრებლის ქვეყანაში დაბრუნების ორგანიზებისთვის.

11.1.3 თუ გადაწყვეტთ საკუთარი სურვილით დაბრუნდეთ თქვენი წარმომავლობის ქვეყანაში/ყოფილ მუდმივი საცხოვრებლის ქვეყანაში, თქვენ შეგიძლიათ მიიღოთ კონსულტაცია და დახმარება მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციისგან (IOM).საკონტაქტო მონაცემებისთვის იხილეთ**დანართი**.

11.1.4 IOM-ს შეუძლია დაგეხმაროთ საჭირო სამოგზაურო დოკუმენტაციის მიღებაში, აგრეთვე დაგეხმარებათ ირლანდიიდან თქვენი წარმომავლობის ქვეყანაში მგზავრობის ხარჯების დაფარვაში. დამატებით, ხელმისაწვდომია მცირე ინტეგრაციის გრანტი, ყველა იმ პირისთვის, რომელიც თავის ქვეყანაში ბრუნდება, რომ დაფაროთ შემოსავლის მიღებისთვის საჭირო ხარჯები, როგორიცაა განათლება, პროფესიული ტრეინინგი და/ან ბიზნესის წამოწყება.

11.1.5 თუ თქვენ გადაწყვეტთ არ დაბრუნდეთ თქვენი წარმომავლობის ქვეყანაში/ყოფილ მუდმივი საცხოვრებლის ქვეყანაში საკუთარი სურვილით, მინისტრს შეუძლია თქვენი დეპორტაციის ორდერის გაცემა და მიღებული იქნება ზომები სახელმწიფოდან (ირლანდიიდან) თქვენს გასაყვანად. თუ არ დაემორჩილებით დეპორტაციის ბრძანებას, თქვენ არ გექნებათ სახელმწიფოში (ირლანდიაში) დარჩენის სამართლებლივი საფუძველი.

11.1.6 იუსტიციის და თანასწორობის დეარტამენტი აგრეთვე ეხმარება იმ ადამიანებს, რომლებსაც საკუთარი სურვილით სურთ საკუთარი წარმომავლობის ქვეყანაში/ყოფილ მუდმივი საცხოვრებლის ქვეყანაში დაბრუნება ადმინისტრაციული და სხვა სახის დახმარების გაწევით.

11.1.7 საკუთარი სურვილით თქვენი წარმომავლობის ქვეყანაში/ყოფილ მუდმივი საცხოვრებლის ქვეყანაში დაბრუნების ალტერნატივის გამოყენების უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ თქვენ შეძლებთ სახელმწიფოში (ირლანდიაში) დაბრუნებას მომავალში, თუ გექნებათ ამის

იურიდიული საფუძველი. მეორეს მხრივ, პირს, რომელიც ექვემდებარება დეპორტაციის ორდერს, კანონიერი სახით მოთხოვენ სახელმწიფოს (ირლანდიის) დატოვებას ან მის ფარგლებს გარეთ დარჩენას (სანამ არ მოხდება მოგვიანებით დეპორტაციის ორდერის გაუქმება).

ნაწილი 12
სხვა ინფორმაცია

12.1. რა პროცედურები არსებობს საერთაშორისო დაცვის განაცხადებისთვის პრიორიტეტის მისანიჭებლად?

12.1.1 მინისტრს შეუძლია პრიორიტეტი მიანოჭოს საერთაშორისო დაცვის ნებისმიერ განაცხადს, თუ საჭიროდ ჩათვლის მსგავს განაცხადზე მუშაობის სამართლიანობის და ეფეტურობის პრინციპებიდან გამომდინარე.

12.1.2 პრიორიტეტულობის თვალსაზრისით მინისტრმა შეიძლება გაითვალისწინოს შემდეგი:

(i) გააჩნია თუ არა აპლიკანტს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები და არ ქონის შემთხვევაში წარმოადგინა თუ არა მან გონივრული განმარტება მსგავსი დოკუმენტების არ არსებობის მიზეზების შესახებ.

(ii) წარმოადგინათუარააპლიკანტმაგონივრულიგანმარტებამისი პრეტენზიის დასამტკიცებლად, რომ სახელმწიფო (ირლანდია) არის პირველი უსაფრთხო ქვეყანა, რომელშიც ის ჩამოვიდა თავისი წარმომავლობის ქვეყნის/ყოფილ მუდმივი საცხოვრებლის ქვეყნის დატოვების შემდეგ;

(iii) წარმოადგინა თუ არა აპლიკანტმა სრული და მართალი განმარტება იმის შესახებ, თუ როგორ ჩამოვიდა ის სახელმწიფოში (ირლანდიაში).

(iv) როცა განაცხადი გაკეთდა სხვა ადგილას და არა სახელმწიფოს (ირლანდიის) საზღვართან, წარმოადგინა თუ არა აპლიკანტმა გონივრული განმარტება იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ არ გააკეთა მან განაცხადი საერთაშორისო დაცვაზე ან სიტუაციის მიხედვით განაცხადი ლტოლვილების შესახებ კანონის, 1996, მე-8 ნაწილის შესაბამისად საზღვარზე სახელმწიფოში (ირლანდიაში) ჩამოსვლისას, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა განაცხადი ეფუძნება მოვლენებს, რომელიც მოხდა სახელმწიფოში (ირლანდიაში) მისი ჩამოსვლის შემდეგ.

(v) როცა აპლიკანტმაგააყალბა, გაანადგურა ან გაასხვისა ნებისმიერი პირადობის დამადასტურებელი თუ სხვა დოკუმენტი, რომელიც მისი განაცხადისთვისაა საჭირო, გააჩნია თუ არა მას გონივრული განმარტება მსგავსი ქმედების ასახსნელად.

(vi) წარმოადგინა თუ არა აპლიკანტმა ყალბი დამამტკიცებელი საბუთი თავისი განაცხადის მხარდასაჭერად ან სხვა სახით გააკეთა ყალბი , იქნება ეს ზეპირი თუ წერილობითი სახის.

(vii) გააკეთა თუ არა აპლიკანტმა, ყოველგვარი გონივრული მიზეზის გარეშე, განაცხადი სახელმწიფოდან (ირლანდიიდან) დეპორტაციის შესახებ შეტყობინების მიღების შემდეგ.

(viii) შეასრულა თუ არა აპლიკანტმა თავისი მოვალეობა დაცვის პროცესთან თანამშრომლობასთან დაკავშირებით.

(ix) არის თუ არა აპლიკანტი ის პირი, რომელზეც ზრუნავს და იცავსTUSLA - ბავშვის და ოჯახის სააგენტო.

(x) აპლიკანტმა, გონივრული მიზეზების გარეშე, არ შეასრულა გარკვეული მოთხოვნები, მის სახელმწიფოში (ირლანდიაში) შესვლისა და დარჩენის. ნებართვასთან დაკავშირებული.

12.2 რა ბედი ეწევა ინფორმაციას, რომელსაც მე მივაწვდი საერთაშორისო დაცვის ოფისს?

12.2.1 როცა საერთაშორისო დაცვის ოფისს აძლევთ პირად მონაცემებს, ოფისი ვალდებულია დაიცვას მათი კონფიდენციალურობა და უსაფრთხოება.

12.2.2 თქვენ უფლება გაქვთ გქონდეთ წვდომა, შეასწოროთ ან წაშალოთ თქვენზე არსებული პირადი ინფრორმაცია მონაცემთა დაცვის აქტთ 1988 და 2003 თქვენთვის მინიჭებული უფლების საფუძველზე.

12.2.3 ჩანაწერები, რომლებიც შეეხებაპირად ინფორმაციას,რომელსაც ფლობს ირლანდიის ნატურალიზაციის და იმიგრაციის სამსახური ექვემდებარება ინფორმაციის თავისუფლების აქტს, 2014, გარკვეული გამონაკლისების ჩათვლით.

12.2.4 ინფორმაციის თავისუფლების აქტი, 2014, ადგენს თითოეული პირის იურიდიულ უფლებას, რომელიც შეეხება

(i) სახელმწიფო ორგანოების მფლობელობაში არსებულ ინფორმაციაზე წვდომას.

(ii) მასთან დაკავშირებული ოფიციალური ინფორმაციის შეცვლას, როცა ის არ არის სრული ან ზუსტი.

(iii) განმარტების მიღებას მათთან დაკავშირებული გადაწყვეტილებისშესახებ.

12.2.5 2014 აქტიადგენს საზოგადოების წევრების უფლებას მიიღონ ოფიციალური ინფორმაცია მაქსიმალურად დასაშვები სახით, რომელიც შეესაბამება საზოგადოებრივ ინტერესს და ადამიანების უფლებას კონფიდენციალურობასთან დაკავშირებით.

12.2.6 მონაცემთა დაცვის შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ საერთაშორისო დაცვის ვებგვერდი www.ipo.gov.ie.

ნაწილი 13
დარჩენის ნებართვა

13.1 როგორ უნდა გავაკეთო განაცხადი დარჩენის ნებართვაზე?

13.1.1 როცა აკეთებთ განაცხადს საერთაშორისო დაცვაზე, თქვენ აგრეთვე უნდა წარმოადგინოთ ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც გაგაჩნიათ და რომელიც შეიძლება საჭირო იყოს მინისტრის მიერ თქვენთვის დარჩენის ნებართვის მიღების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად, თუ არ მოგანიჭებენ ლტოლვილის ან დამატებითი დაცვის სტატუსს. თუ არის კიდევ რამ, რაც გსურთ, რომ გაითვალისწინოს მინისტრმა, თქვენ ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოთ საერთაშორისო დაცვის ოფისს.

13.1.2 თქვენ ინფორმაცია უნდა მოგვაწოდოთ საერთაშორისო დაცვის კითხვარის შესაბამის ნაწილში.უნდა წარმოადგინოთ ნებისმიერი დამხმარე დოკუმენტი (მაგალითად დაბადების ან ქორწინების მოწმობა, , სარეკომენდაციო წერილები, ატესტატი, ან კვალიფიკაცია და ა.შ.). თუ ეს დოკუმენტები თან არ გაქვთ, თქვენ შეგიძლიათ ისინი მოგვაწოდოთ მოგვიანებით, სანამ საერთაშორისო დაცვის ოფისი მოამზადებს ანგარიშს მინისტრისთვის საერთაშორისო დაცვაზე თქვენს განაცხადთან დაკავშირებით.

13.1.3 დამატებით, თქვენ უნდა წარუდგინოთ განახლებული ინფორმაცია საერთაშორისო დაცვის ოფისს, თუ არის რაიმე ცვლილება თქვენს გარემოებებში, რომელიც საჭიროა მინისტრის მიერ დარჩენის ნებართვის შესახებ გასაწყვეტილების მისაღებად.

13.1.4 გთხოვთ, გაითვალისწინეთ, რომ გასაუბრება, რომელსაც ჩაატარებს საერთაშორისო დაცვის ოფისი, ორიენტირებულია საერთაშორისო დაცვაზე თქვენი განაცხადის შემოწმებაზე და არა დარჩენის ნებართვაზე. ოფიცერი, რომელიც ჩაატარებს გასაუბრებას, დაგისვამთ შეკითხვებს ამასთან დაკავშირებით, არ გამოგკითხავთ სხვა საკითხებს, რომლებიც არ არის საჭირო თქვენს განაცხადთან დაკავშირებით, მაგრამ საჭიროა მინისტრის მიერ გადაწყვეტილების მისაღებად იმასთან დაკავშირებით, მოგცეთ თუ არა სახელმწიფოში (ირლანდიაში) დარჩენის ნებართვა. თუმცა, თუ გასაუბრებაზე ასეთი საკითხები წამოიჭრება, მოხდება მათი ჩაწერა წერილობითი სახით იმ პირის მიერ, ვინც გასაუბრებას ატარებს, და ხელმისაწვდომი იქნება მინისტრისთვის, რომ გაითვალისწინოს ისინი თქვენთვის დარჩენის ნებართვის მიცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, თუ თქვენ არ მოგენიჭებათ ლტოლვილის სტატუსი ან დამატებითი დაცვა.

13.2 რა ინფორმაცია არის საჭირო იმისთვის, რომ მინისტრმა მოგცეთ ან არ მოგცეთ სახელმწიფოში (ირლანდიაში) დარჩენის ნებართვა?

13.2.1 მინისტრი გაითვალისწინებს შესაბამის ინფორმაციას, რომელიც წარმოდგენილია თქვენს მიერ, საერთაშორისო დაცვაზე თქვენს განაცხადში მოცემული ინფორმაციის, წინასწარ გასაუბრებაზე გაკეთებული განაცხადის და საერთაშორისო დაცვის გასაუბრებაზე გაკეთებული განაცხადის ჩათვლით.

13.2.2 მინისტრი გაითვალისწინებს თქვენს ოჯახურ და პირად გარემოებებს და თქვენს უფლებას თქვენი პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემასთან დაკავშირებით და გაითვალისწინებს

(i) სახელმწიფოსთან (ირლანდიასთან) თქვენი კავშირის ხასიათს, მსგავსის არსებობის შემთხვევაში,

(ii) ჰუმანიტარულ შეხედულებებს,

(iii) თქვენს ხასიათს და ქცევას როგორც სახელმწიფოს (ირლანდიის)ფარგლებს შიგნით, ასევე მის გარეთ (სისხლის სამართლის დანაშაულში ბრალდების ჩათვლით),

(iv) ეროვნული უსაფრთხოების და საზოგადოებრივი წესრიგის საკითხების შეხედულებებს და

(v) საერთო კეთილდღეობის სხვა შეხედულებებს

13.2.3 მინისტრი გაითვალისწინებს ყველა საკითხს, რომელიც წამოჭრილია თქვენს მიერ იძულებით გაძევების აკრძალვასთან დაკავშირებით (იხილეთ**პარაგრაფი 2.7.1**).

13.3 რა ხდება იმ შემთხვევაში, თუ უარს მეტყვიან დარჩენის ნებართვაზე?

13.3.1 თუ თქვენ გადაწყვეტთ არ გაასაჩივროთ რეკომენდაცია თქვენს საერთაშორისო დაცვასთან დაკავშირებით IPAT-ში და მინისტრი უარს გეტყვით დარჩენის ნებართვაზე, თქვენ ვერ შეძლებთ სახელმწიფოში (ირლანდიაში) დარჩენას. თქვენი დროებითი საცხოვრებლის ცნობა დაკარგავს ძალას და თქვენ ეს ცნობა დაუყოვნებლივ უნდა დაუბრუნოთ საერთაშორისო დაცვის ოფისს.

13.3.2 თქვენ გექნებათ შესაძლებლობა საკუთარი სურვილით დაბრუნდეთ თქვენი წარმომავლობის/ყოფილ მუდმივი საცხოვრებლის ქვეყანაში და თქვენ უნდა აცნობოთ საერთაშორისო დაცვის ოფისს და INIS-ს, თუ გადაწყვეტთ სახელმწიფოს (ირლანდიის) დატოვებას საკუთარი სურვილით.

13.3.3 თუ თქვენ უარს იტყვით საკუთარი სურვილით დაბრუნდეთ თქვენი წარმომავლობის/ყოფილ მუდმივი საცხოვრებლის ქვეყანაში, მინისტრი გასცემს დეპორტაციის ორდერს და მოგთხოვთ ირლანდიის დატოვებას და სახელმწიფოს (ირლანდიის) ფარგლებს გარეთ დარჩენას განუსაზღვრელი ვადით.

13.4 რა ხდება იმ შემთხვევაში, თუ მომცემენ დარჩენის ნებართვას?

13.4.1 თუ მოგცემენ დარჩენის ნებართვას, თქვენ მიიღებთ წერილს, რომელშიც მითითებული იქნება დეტალური ინფორმაცია იმ ქმედებების შესახებ, რომელიც უნდა განახორციელოთ და თქვენი უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ.

13.5 რა სახით მოქმედებს დარჩენის ნებართვაზე უარის „მიმოხილვა“?

13.5.1 თქვენ არ შეგიძლიათ გაასაჩივროთ გადაწყვეტილება თქვენთვის დარჩენის ნებართვაზე უარის თქმის შესახებ.

13.5.2 საერთაშორისო დაცვის ოფისი უარს გეტყვით რეკომენდაციაზე, თქვენ მიიღებთ ინფორმაციას IPAT-ში გასაჩივრების პროცესის შესახებ. თუ თქვენ გაასაჩივრებთ IPAT-ში, მაგრამ ის დაეთანხმება საერთაშორისო დაცვის ოფისის უარყოფით რეკომენდაციას, თქვენ მიიღებთ*დარჩენის ნებართვის მიმოხილვის* ფორმას შესავსებად.ამ ფორმის შევსების და დაბრუნების ვადების შესახებ შეგატყობინებენ ფორმის გადმოცემასთან ერთად.

13.5.3 თუ თქვენი გარემოებები შეიცვლება დარჩენასთან დაკავშირებით მინისტრის საწყის ნებართვასთან დაკავშირებით საწყისი გადაწყვეტილების მიღებისა და IPAT-ის მიერ თქვენს საერთაშორისო დაცვის გასაჩივრებას შორის პერიოდში, რომელიც საჭიროა მინისტრის თავდაპირველი გადაწყვეტილებისთვის, თქვენ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოთ მინისტრს ამის შესახებ.

13.5.4 თუ თქვენ წარმოადგინეთ ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც შეხება გარემოებების ცვლილებებს და საჭიროა დარჩენის შესახებ მინისტრის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, მინისტრი განიხილავს თავის გადაწყვეტილებას თქვენთვის დარჩენის ნებართვის მიცემასთან დაკავშრებით. მინისტრი კვლავ გაითვალისწინებს **13.2.2 პარაგრაფში**მითითებულ საკითხებს და თქვენს მიერ წარმოდგენილ დამატებით ინფორმაციას.მინისტრი აგრეთვე გაითვალისწინებს თქვენს მიერ წამოჭრილ საკითხებს, რომელიც შეეხება იძულებითი გაძევების აკრძალვას.

13.5.5 დარჩენის ნებართვის შესახებ გადაწყვეტილების განხილვის შემდეგ მინისტრი ან მოგცემთ გარკვეული დროით დარჩენის ნებართვას ან უარს გეტყვით მსგავსი ნებართვის მიცემაზე. თქვენ წერილობითი სახით შეგატყობინებენ მინისტრის გადაწყვეტილების შესახებ, სადაც მითითებული იქნება ამ გადაწყვეტილების მიზეზებიც.

13.6 რა ხდება იმ შემთხვევაში, როცა მომცემენ დარჩენის ნებართვას, მაგრამ მე გადავწვეტ გავასაჩივრო საერთაშორისო დაცვის ოფისის რეკომენდაცია IPAT-ში?

13.6.1 თქვენ შეგიძლიათ დარეგისტრირდეთ თქვენს ადგილობრივ იმიგრაციის სარეგისტრაციო ბიუროში და თქვენი ნებართვა სახელმწიფოში (ირლანდიაში) დარჩენასთან დაკავშირებით ამოქმედდება.თუმცა, თუ თქვენ გაასაჩივრებთ გადაწყვეტილებას დაცვის შესახებ, რადგან თქვენ კვლავ იქნებით საერთაშორისო დაცვის აპლიკანტი, თქვენ ვერ შეძლებთ სამუშაოს მოძებნას და დასაქმებას, ბიზნესში,ვაჭრობასა ან თქვენს პროფესიაში ჩაბმას სანამ არ მიიღებთ პასუხს IPAT-ში თქვენს გასაჩივრებასთან დაკავშირებით.

13.7 რა ხდება იმ შემთხვევაში, თუ მე უარს მეტყვიან დარჩენის ნებადრთვაზე განხილვის პროცესის შემდეგ?

13.7.1 თუ ვერ მიიღებთ დარჩენის ნებართვას, თქვენ ვერ შეძლებთ სახელმწიფოში (ირლანდიაში) დარჩენას. თქვენი დროებითი საცხოვრებლის ცნობა დაკარგავს ძალას და თქვენ ეს ცნობა დაუყოვნებლივ უნდა დაუბრუნოთ საერთაშორისო დაცვის ოფისს.

13.7.2 თქვენ გექნებათ შესაძლებლობა საკუთარი სურვილით დაბრუნდეთ თქვენი წარმომავლობის/ყოფილ მუდმივი საცხოვრებლის ქვეყანაში და თქვენ უნდა აცნობოთ საერთაშორისო დაცვის ოფისს და INIS-ს, თუ გადაწყვეტთ სახელმწიფოს (ირლანდიის) დატოვებას საკუთარი სურვილით.

13.7.3 თუ თქვენ უარს იტყვით საკუთარი სურვილით დაბრუნდეთ თქვენი წარმომავლობის/ყოფილ მუდმივი საცხოვრებლის ქვეყანაში, მინისტრი გასცემს დეპორტაციის ორდერს და მოგთხოვთსახელმწიფოს (ირლანდიის) დატოვებას და სახელმწიფოს (ირლანდიის) ფარგლებს გარეთ დარჩენას დაუყონებლივ.

ნაწილი 14
ოჯახის გაერთიანება

14.1 რა არის ოჯახის გაერთიანება?

14.1.1 თუ მინისტრი მოგანიჭებთ ლტოლვილის ან დამატებითი დაცვის სტატუსს, თქვენ შეგიძლიათ მისი მინიჭებიდან 12 თვეში მიმართოთ მინისტრს, რომ თქვენი ოჯახის **კონკრეტულმა** წევრებმა მიიღონ მინისტრის ნებართვა

- სახელმწიფოში (ირლანდიაში) ჩამოსასვლელად და საცხოვრებლად, თუ განაცხადის გაკეთებისას ისინი იქ არ იყვნენ; ან
- სახელმწიფოში (ირლანდიაში) დასარჩენად და საცხოვრებლად, თუ განაცხადის გაკეთებისას ისინი სახელმწიფოში (ირლანდიაში) იყვნენ;

14.2 არსებობს თუ არა დროის ზღვარი?

14.2.1 თქვენ უნდა წარმოადგინოთ განაცხადი თქვენი ოჯახის წევრების შემოერთების შესახებ ლტოლვილის ან დამატებითი დაცვის სტატუსის მინიჭებიდან **12 თვეში.**

14.3 ვინ არის ოჯახის წევრი?

14.3.1 **ოჯახის წევრი** მკაცრადაა განსაზღვრული, მასში შედის:

(i) პირის მეუღლე, იმ შემთხვევაში თუ ქორწინება ძალაში იყო სახელმწიფოში (ირლანდიაში) საერთაშორისო დაცვაზე განაცხადის გაკეთების დროს,

(ii) პირის სამოქალაქო მეუღლე, იმ შემთხვევაში თუ ის ძალაში იყო სახელმწიფოში (ირლანდიაში) საერთაშორისო დაცვაზე განაცხადის გაკეთების დროს,

(iii) თუ პირი არის 18 წლამდე ასაკისდა დაუქორწინებელია.პირის მშობლები და შვილები, რომლებიც 18 წლამდე ასაკისანი არიან და არიან დაუქორწინებელნი

(iv) იმ პირის შვილი, რომელიც ოჯახის გაერთიანების შესახებ განაცხადის გაკეთებისას არის 18 წლამდე ასაკის და დაუქორწინებელია.

14.4 რა ინფორმაცია უნდა მივუთითო საერთაშორისო დაცვის განაცხადის ფორმასა და კითხვარში?

14.4.1 როცა აკეთებთ განაცხადს საერთაშორისო დაცვაზე, თქვენ მოგთხოვენ ინფორმაციის მითითებას ოჯახის წევრების შესახებ, რომლებიც თქვენს მიერ საერთაშორისო დაცვის მიღების შემთხვევაში უფლებამოსილი იქნებიან ოჯახის გაერთიანებაზე. (იხილეთ**პარაგრაფი 14.3**).

14.4.2 თქვენი ოჯახის წევრების შესახებ ინფორმაცია უნდა მიუთითოთ საერთაშორისო დაცვის კითხვარში.

14.4.3 მნიშვნელოვანია ოჯახის წევრების შესახებ ინფორმაციის მითითება, როცა ავსებთ განაცხადს და კითხვარს აგრეთვე შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენა, როგორიცაა ქორწინების და დაბადების მოწმობები და ა.შ.

14.5 როგორ შემიძლია გავაკეთო განაცხადი ოჯახის გაერთიანებაზე?

14.5.1 თუ თქვენ მოგანიჭებენ ლტოლვილის სტატუსს ან დამატებით დაცვას და გსურთ ოჯახის გაერთიანებაზე განაცხადის გაკეთება იმ წევრებთან მიმართებით, რომლებიც **14.3 პარაგრაფშია** მითითებული, თქვენ წერილობით უნდა მიმართოთ ოჯახის გაერთიანების განყოფილებას (INIS) შემდეგ მისამართზე:

Family Reunification Unit,
Irish Naturalisation and Immigration Service,
13/14 Burgh Quay,
Dublin 2
D02 XK70

14.5.2 დამატებითი ინფორმაცია ხელმისაწვდომია შემდეგ ვებგვერდზე:www.inis.gov.ie

დაიმახსოვრეთ, განაცხადი ოჯახის გაერთიანებაზე უნდა გააკეთოთ ლტოლვილის სტატუსის ან დამატებითი დაცვის მინიჭებიდან 12 თვეში.

ნაწილი15
თქვენი საცხოვრებელი

15.1 ინფორმაცია მიღების/საცხოვრებლის შესახებ

15.1.1 თუ თქვენ აკეთებთ განაცხადს საერთაშორისო დაცვაზე საერთაშორისო დაცვის ოფისში, მოხდება თქვენი საწყისი მონაცემების დამუშავება და შემდეგ მიღების და ინტეგრაციის სააგენტოსთვის (RIA)გადაცემა, რომელიც მოაგვარებს სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილი საცხოვრებლისა და სრული პანსიონის ყველა საკითხთან დაკავშირებით მათთვის, ვინც საერთაშორისო დაცვის პროცესში მონაწილეობენ.

15.1.2 თუ საცხოვრებელს მოითხოვთ, გაცნობებენ დეტალებს თქვენი საცხოვრებლის შესახებ და შემოგთავაზებენ საცხოვრებელს. თუ მიიღებთ შემოთავაზებას, მიმღებ ცეტრში მისაყვანად თქვენთვის უზრუნველყოფილი იქნება ტრანსპორტი, სადაც დარჩებით მოკლე ვადით - ჩვეულებრივ არაუმეტეს სამ კვირისა..

15.1.3 მიმღებ ცენტრში გატარებული მცირე დროის შემდეგ, თქვენ გადაგიყვანენ საცხოვრებელ ცენტრში. თქვენ არ გაქვთ იმ ცენტრთის ადგილმდებარეობასთან დაკავშირებით არჩევანის გაკეთების შესაძლებობა, სადაც გადაგიყვანენ

15.1.5 თქვენ შეგიძლიათ იმ საცხოვრებელ ცენტრში დარჩენა, სადაც გადაგიყვანენ სანამ საერთაშორისო დაცვაზე თქვენი განაცხადის დამუშავება (გასაჩივრების ჩათვლით) მთლიანად არ დასრულდება ან თქვენ შეგიძლიათ გადაწყვიტოთ კერძო ბინაში საკუთარი ხარჯით ცხოვრება.

15.1.6 გთხოვთ, გაითვალისწინეთ, როცა იღებთ გადაწყვეტილებებს თქვენს საცხოვრებელთან და ა.შ. დაკავშირებით, თქვენ ვალდებული ხართ აცნობოთ თქვენი ადგილსამყოფელის შესახებ საერთაშორისო დაცვის ოფისს.

15.1.7 საცხოვრებლის შეთავაზება მიმღებ ცენტრში ან საცხოვრებელ ცენტრში ექვემდებარება თქვენს მიერ სახლის მოქმედი წესების შესრულებას.

15.1.8 თქვენ შეგიძლიათ მოიღხოვოთ ოფიციალურად უზრუნველყოფილი საცხოვრებლის შეცვლაRIA-ს მეშვეობით და მხოლოდ იმ შემთხვევებში, როცა სააგენტოს შეუძლია ალტერნატიული საცხოვრებლის შემოთავაზება.

15.1.9 შეგიძლიათ მიიღოთ დამატებითი ინფორმაცია მიღებისა და ინტეგრაციის სამინისტროსგან შემდეგ ვებგვერდზე:www.ria.gov.ie .

დანართი

საკონტაქტო მონაცემები

სახელმწიფო და სხვა ორგანიზაციები, რომელთაც შეგიძლიათ დაუკავშირდეთ თქვენი დაცვის განაცხადთან დაკავშირებით:

ორგანიზაცია	**ფუნქცია**
Irish Naturalisation and Immigration Service, Department of Justice and Equality. 13 – 14 Burgh Quay, Dublin 2. D02 XK70 Telephone: +353 1 616 7700 Lo-Call:1890 551 500 Website: www.inis.gov.ie	ირლანდიის ნატურალიზაციის და იმიგრაციის სამსახური, (INIS)პასუხისმგებელია იუსტიციის და თანასწორობის მინისტრის ადმინისტრაციული ფუნქციების შესრულებაზე თავშესაფართან, იმიგრაციასთან (ვიზების ჩათვლით) და მოქალაქეობის საკითხებთან დაკავშირებით. INIS აგრეთვე ხელს უწყობს მთავრობის მიდგომას იმიგრაციის და თავშესაფრის საკითხებთან დაკავშირებით, რაც იძლევა ამ სფეროში უფრო ეფეტური მომსახურების უზრუნველყოფის შესაძლებლობას.
International Protection Office Irish Naturalisation and Immigration Service, 79-83 Lower Mount Street, Dublin 2. D02 ND99 Telephone: +353 1 602 8000 Fax: + 353 1 602 8122 Email: info@ipo.gov.ie Website: www.ipo.gov.ie	საერთაშორისო დაცვის ოფისის (IPO)ძირითადი ფუნქცი სხვასთან ერთად არის რეკომენდაციების გაკეთება საერთაშორისო დაცვის აქტის, 2015, დებულებების შესაბამისად, იმასთან დაკავშირებით, არის თუ არა პირი უფლებამოსილი მიიღოს საერთაშორისო დაცვა სახელმწიფოში (ირლანდიაში). თუ აპლიკანტს არ აქვს ამის უფლება, IPO განიხილავს აქვს თუ არა აპლიკანტს სახელმწიფოში (ირლანდიაში) დარჩენის ნებართვის მიღების უფლება სხვა საფუძველზე დაყრდნობით და აგრეთვე ითვალისწინებს გაძევების საკითხს და ა.შ.
International Protection Appeals Tribunal 6/7 Hanover Street, Dublin 2. D02 W320 Telephone: +353 1 474 8400 Lo-Call: 1890 210 458 Fax: +353 1 474 8410 Email: info@protectionappeals.ie Website: www.protectionappeals.ie	საერთაშორისო დაცვის სააპელაციო ტრიბუნალი (IPAT) იხილავს IPO-ს უარყოფითი რეკომენდაციების გამო წარმოდგენილ საჩივრებს. საჩივარზე მუშაობს IPAT-ის წევრი.

ორგანიზაცია	ფუნქცია
Reception and Integration Agency. P.O. Box 11487 Dublin 2. Telephone: + 353 1 418 3200 Fax: +353 1 4183271 Email: RIA_Inbox@justice.ie Website: www.ria.gov.ie	მიღების და ინტეგრაციის სააგენტო RIA)პასუხისმგებელია საცხოვრებლის და მასთან დაკავშირებული მომსახურების კოორდინაციაზე, რომლითაც უზრუნველყოფილია დაცვის აპლიკანტი.ამ მომსახუბაში შედის საცხოვრებლის, ჯანდაცვის, განათლების და კეთილდღეობის უზრუნველყოფა.
United Nations High Commissioner for Refugees. 102 Pembroke Road, Ballsbridge, Dublin 4. D04 E7N6 Telephone: 01 631 4510 Website: www.unhcr.org	გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი (UNHCR) დაარსდა 1951 წელს ლტოლვილთა ინტერესების დასაცავად. UNHCR-ის მუშაობა განისაზღვრება, როგორც ჰუმანიტარული, სოციალური და არაპოლიტიკური.მისი ძირითადი ფუნქციებია საერთაშორისო დაცვის უზრუნველყოფა ლტოლვილებისთვის, მათი მძიმე მდგომარეობისთვის გადაწყვეტილების მოძებნა და მათთვის მატერიალური დახმარების გაწევა. დაცვა მოიცავს იძულებით გაძევების, ანუ ლტოლვილების იძულებით იმ ქვეყანაში დაბრუნების პრევენციას, სადაც ისინი დევნის საფრთხის ქვეშ იქნებიან. არსებობს პროცედურები, რომელთა შესაბამითაც UNHCR-ს ეცნობება განაცხადების დამუშავების შესახებ, როგორც პირველ ასევე გასაჩივრების სტადიაზე.UNHCR-ს შეუძლია დაესწროს ნებისმიერ გასაუბრებას ან გასაჩივრებას ან გააკეთოს წერილობითი განცხადება ნებისმიერ განაცხადთან დაკავშირებით.
International Organisation for Migration. 116 Lower Baggot Street, Dublin 2. D02 R252 Freephone: 1800 406 406 Telephone: +353 1 676 0655 Email: iomdublin@iom.int Website: www.ireland.iom.int/	მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია(IOM) სთავაზობს კონფიდენციალურ დახმარებას თავშესაფრის მაძიებლებს და არარეგულარულ მიგრანტებს არაევროპული ეკონომიკური ზონიდან (EEA), რომელთაც სურთ საკუთარი სურვილით დაბრუნება სამშობლოში და ამისთვის არ აქვთ მგზავრობის საშუალება და/ან დოკუმენტები.

ორგანიზაცია	ფუნქცია
Legal Aid Board (Smithfield). 48/49 North Brunswick Street, Georges Lane, Dublin 7. D07 PE0C Telephone: (01) 646 9600 Fax: (01) 671 0200 Email:lawcentresmithfield@legalaidboard.ie Legal Aid Board (Cork) Popes Quay Law Centre, North Quay House, Popes Quay, Cork T23 TV0C Telephone: + 353 21 455 16 86 Fax: +353 21 455 1690 Email:lawcentrecorknorth@legalaidboard.ie Galway Law Centre (Seville House) Seville House New Dock Road Galway H91 CKVO Telephone: +353 91 562 480 Fax: +353 91 562 599 Email:lawcentresevillehouse@legalaidboard.ie	საერთაშორისო დავის აპლიკანტებს ირლანდიაში შეუძლიათ მიმართონ იურიდიული დახმარების და კონსულტაცის მისაღებადთავიანთ განაცხადებსა და საერთაშორისო სააპელაციო ტრიბუნალში გასაჩივრებასთან დაკავშირებით, თუ ეს საჭიროა.
Team for Separated Children Seeking Asylum, TUSLA- Child and Family Agency Sir Patrick Dun's Hospital, Lower Grand Canal Street, Dublin 2. D02 P667 Telephone: +353 1 647 7000 Fax: +353 1 647 7008 Website: www.tusla.ie	TUSLA - ბავშვის და ოჯახის სააგენტო პასუხისმგებელია ოჯახს დაშორებული ბავშვების გადაუდებელი და მიმდინარე საჭიროებების დაკმაყოფილებაზე, რომლებსაც სურთ საერთაშორისო დაცვაისეთ საკითხებში, როგორიცაა საცხოვრებელი, სამედიცინო და სოციალური საჭიროებები

ორგანიზაცია	ფუნქცია
The Irish Red Cross Society. 16 Merrion Square North, Dublin 2. D02 XF85 Telephone: +353 1 642 4600 Fax: +353 1 661 4461 Email: info@redcross.ie http://www.redcross.ie	ირლანდიის წითელი ჯვარი უწევს გადაუდებელ და ჰუმანიტარულ დახმარებას ადამიანებს მოხალისეთა თავის ქსელის მეშვეობით, როგორც ეროვნულ ასევე საერთაშორისო დონეზე.